საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 4 ნოემბერი, 1919 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, [illegible]ულ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციის და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 251 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 251

მწუხარებაში მყოფნი: დედა ეკატერინე, ძმა გიორგი დონჯაშვილები, მეუღლე ანდრია პეტრიაშვილი, დეიდები: ელენე ვაჩნაძისა, ტასო კოჭლამაზაშვილისა. დეიდაშვილები: მარო ვაჩნაძისა, თამარ ვაჩნაძისა, ქეთო კოჭლამაზაშვილისა, მამიდა ტასო ბეჟაშვილისა, ბიძა საშა მესტიაშვილი, ბიცოლა ოლა დონჯაშვილისა, ბიძაშვილი ვარო მაისურაძისა, მამამთილი მღ. სვიმონ და დედამთილი მარია, მაზლები კირილე და მაქსიმე პეტრიაშვილები, ამხანაგი სუსანა მატინოვი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ ლაგოდეხის პროგიმნაზიის მასწავლებლის ძვირფასი

ნადეჟდა (ნადია) იოსებ დონჯაშვილის ასულის პეტრიაშვილის

სულის მოსახსენებლათ დასაფლავებიდან ორმოცი დღის თავზე, შაბათს 8 ნოემბერს, (ახ. სტ.) დილის 10 ს. ლაგოდეხის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა, პანაშვიდი კი სასაფლაოზე. (ფ. 1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი ნინა ნიკოლოზის ასული და გერონტი სპირიდონის ძე ჩიკვაიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ საყვარელი ნათლიდედის და ძვირფასი ამხანაგის

ნადეჟდა (ნადია) პეტრიაშვილის

სულის მოსახსენებლათ, შაბათს, 8 ნოემბერს, დილის 10 ს. დასაფლავებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო, ლაგოდეხის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა, პანაშვიდი კი სასაფლაოზე. (ფ. 6—6)

ლაგოდეხის სცენის მოყვარეთა წრის გამგეობა მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგთ, გამგეობის ყოფილი წევრის და ნიჭიერი სცენის მოყვარის

ნადეჟდა (ნადია) პეტრიაშვილის

სულის მოსახსენებლათ, შაბათს, 8 ნოემბერს, დილის 10 ს., დასაფლავებიდან ორმოცი დღის თავზე, ლაგოდეხის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა, პანაშვიდი კი სასაფლაოზე. (ფ. 6.—6.)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე თეოფანე გიორგის ძე, შვილები: ალექსი (ხუტა), თამარა და ოლია (ძაძუ) კონსტანტინეს ასულნი, სიძე მიხაკო დიანოსის ძე სვანიშვილი; მაზლები: თომა და მელიტონ გიორგის ძენი გვიჩიები; რძალი პელაგია გუჯმახანის ასული; მული ოლღა გიორგის ასული და მეუღლე მისი ივანე (ირაკლი) გიგოს ძე ლოლუა აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

მინადორა კონსტანტინეს ასული **გვიჩიასი,**

რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია 4 ნოემბერს, დღით, სამშაბათს, სამ საათზე სოფ. ჭალადიდში, მუხურის წმინდა გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე. (2892—1—1)

გულდათუთქულნი: მეუღლე ვარლამ ათანასეს ძე მეგრელიშვილი და დედა სულავასი სურმავას ასული აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთ, რომ 8 გიორგობისთვეს (ახალი სტ.) ნახარებავოს მონასტრის გალავნში (მარტვილი, სენაკის მაზრა) გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ

ოლღას

წლის თავის აღსანიშნავათ. (2887—2—1)

მამა ვასილი ბოგდანის ძე, დედა ნინო პეტრეს ასული და ძმები: ალექსანდრე, შალვა და ანდრო ვასილისძენი მალაშხიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, 5 ნოემბერს დიდუბის ეკლესიის გალავანში დანიშნულია 40 დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ და ძვირფას სამხედრო მფრინავის კაპიტანი

გრიშა (გერტი) მალაშხიასი

პანაშვიდი დაიწყება დილის 10 საათზე. (2893—2—4)

მფრინავთა გუნდის უფროსი, ოფიცრები და ჯარისკაცები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 5 ნოემბერს დიდუბის ეკლესიის გალავანში დანიშნულია 40 დღის წირვა და პანაშვიდი მფრინავ კაპიტან

გრიშა მალაშხიასი

პანაშვიდი დაიწყება დილის 10 საათზე. (2893—21)

ანონსი ტფილისის არტისტიული თეატრი ორშაბათს, გიორგობისთვის 12, 1919 წ.

საქართ. ცენტრ. კოოპერატ. კავშირის

დრამატიულ სტუდიის წარმოდგენა

1) **ჰანელე** ჰაუპტმანისა.

2) **რომანტიკოსნი** ედ. როსტანისა.

რეჟისორი მ. ქორელი.

შემდეგ: ავგაროზი. (2847—2—2)

მომხმარებელ საზ. „აღორძინების"

რწმუნებულთა არჩევნები

ანიშნულია 3, 4 და 5 ნოემბერს. ხმის მიცემა იწარმოებს საზოგადოების მაღაზიებში. წევრებმა ხმა უნდა მისცენ ან იმ მაღაზიაში, რომელიდანაც საქონელს ულობენ, ანდა რომლის ახლო ისინი ცხოვრობენ. ბიულეტენებს მსურველნი იღებენ იქვე მაღაზიებში საწევრო წიგნაკის წარდგენის შემდეგ. (2869—2—1)

ავგუსტ ბებელის თხზულება

დედაკაცი და სოციალიზმი

იყიდება „ერთობის" რედაქციაში და ვ. რუხაძის სტამბაში ილ. დარახველიძესთან.

ფასი 50 მანეთი. (ნ. 2—1)

ლატარიის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს

რომ სამშაბათიდან, 4 ნოემბრიდან, დილის 10 საათ., ლატარიის გათამაშება გაგრძელებულიქნება ქართულ კლუბის სათეატრო დარბაზში. (ნ. 1—1)

ღალატია თუ უგნურება

მსოფლიო ომმა მსოფლიო ააფორიაქა. ამ ისტორიულ დანაშაულში ყველა დამნაშავეა გარდა სოციალისტებისა. ეს ხომ სადაო არაა. ქვეყნიერება გაჩანაგდა და აირია, რუსეთი ხომ კიდევ სხვაზედ უარეს პირობებში ჩავარდა, ის იწვის და იდაგვის. ვის დავაბრალოდ ქვეყნის დაქცევა? რომელიმე პარტიის ან რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის ბრალს? ეს ხომ ისტორიულ მოვლენათა ობიექტიურათ ახსნა იქნება და. ესეც ხომ სადაო არაა. დაქცეულ რუსეთში წარმოიშვა და აღორძინდა სხვადასხვა ახალი სახელმწიფონი. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. თავის ქება კიტრათ არ ღირს, პატრიოტული ტრაბახიც არამც თუ სათაკილოა, მავნებელიცაა, ამისდა მიუხედავათ ჩვენ უნდა ვაღიაროთ ის აუცილებელი ფაქტი, რომ ყოფილ რუსეთში საქართველოს რესპუბლიკის მდგომარეობა, შედარებით სხვებთან, ბევრათ უკეთესია; თუმცა ჩვენი რესპუბლიკის გარეშე პირობები ბევრზე უარესია. თქმა არ უნდა, რომ ნაკლი ბევრი აქვს ჩვენს რესპუბლიკას, მაგრამ განა ეს არის გასაკვირველი!? თუ პირიქით, ის უნდა გვაოცებდეს და გვამხნევებდეს, რომ ასეთ ჯოჯოხეთურ პირობებში ამოდენითი შესძლო ქართველმა ხალხმა!? საქართველომ დამოუკიდებლობა მიიღო, ის ჯერ ცნობილი არაა ევროპის სახელმწიფოთა მიერ. ამისდა მიუხედავათ მისი სახელმწიფოებრივი მდგომარეობა დღითი დღე მტკიცდება. თვით ერმა იცნო თავისი თავი, მტკიცეთ ადგია ამ გადაწყვეტილებას და ეს კი თავდებია იმის, რომ უცხოელნიც იცნობენ მას. საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ამგვარათ, პირველის შეხედვით, თითქოს განხორციელდა ჩვენი მამულიშვილთა სანუკვარი ოცნება. მაგრამ ეს თურმე პირველის შეხედვით. გაუსინჯეთ კბილი მამულიშვილთა დღევანდელ ოპოზიციას რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ. წაიკითხეთ მათი ნაწერი, გასინჯეთ მათი ნამოქმედარი და თქვენ მწარეთ გაოცდებით. რაშია საქმე, ვინ არიან ეს ხალხი, რა სურთ, რა ასულდგმულებთ? ვერავითარი რესპუბლიკის გარეშე მტერი ვერ მიაყენებს მეტ ვნებასა და ზარალს ჩვენს არსებობას და დამოუკიდებლობას, ვიდრე საქართველოს მამულიშვილნი. არც ერთი ჩვენი მოსისხლე მტერი არ უტეხს სახელს ჩვენს ხალხს, რესპუბლიკასა და მის მთავრობას იმაზე მეტათ, როგორც ეს ვაჟბატონები.

ვისი ორგანოებია „ობნოვლენიე", „საქართველო", „კლდე"? ჩვენში რუსული ენა ჯერ-ჯერობით საერთაშორისო ენის როლს თამაშობს. „ობნოვლენიე" ქართველ მამულიშვილთა რუსული გაზეთია. ამ გაზეთის საშუალებით ისინი აცნობენ ქვეყანას საქართველოს რესპუბლიკას. ამ ორგანოს მოღვაწეობა სავსებით იქითკენაა მიმართული, რომ ქართველი ხალხი აძაგოს მთელი ქვეყნის წინაშე. ის მთელ რუსეთს, დენიკინსა და სხვებს აცნობებს, რომ ჩვენი ქვეყანა და ხალხი ყოვლად უმზგავსოა. ჩვენი მთავრობა მთავრობა კი არა, მხოლოდ მასხრობაა. დამფუძნებელი კრება, მართლა ხალხის უზენაესი ნების გამომხატველი კი არ გეგონოსთ, ის, რაც დამფუძნებელმა კრებამ გააკეთა, მაშასადამე მათ შორის დამოუკიდებლობის გამოცხადებაც, მართლა ხალხის სურვილი კი არაა. თვით დამფუძნებელი კრება და საერთოთ ერის ყველა ორგანოები ხალხის მიერ კი არ არის არჩეული, არამედ ნაძალადევათ აქვს მოხვეჭილი თავზე ერს. ჩვენში სახელმწიფო არ არსებობს, არის ავაზაკთა ძალმომრეობა. ჩვენი ეგრეთ წოდებული სახელმწიფო ანარქიის ალშია გახვეული; აქ მხოლოდ ყაჩაღთა თარეშია. ჩვენ ჩვენს თავს ვერ ვუველით. „მთელი ხალხი ფიზიკურათ ჩანცგაწყვეტილია, ზნეობრივათ გადაგვარებული."(„ობნოვლენიე" 2 ნოემბ.). ჩვენი დაღუპვა აუცილებელია, უცხოელები გაოცებული არიან იმით, რომ საქართველო მასსიურ და შემზარავ ბოროტ მოქმედებამ მოიცო სავსებითო, განაგრძობს ქართველ პატრიოტთა რუსული გაზეთი. ნამდვილათ კი ყველამ იცის, რომ უცხოელთა წარმომადგენელნი, თვით კონფერენციის რწმუნებულნი რომელნიც მოსვლისას იქვის თვალით გვიყურებდენ, გაცნობის შემდეგ ევროპას ატყობინებდენ, რომ ამიერ-კავკასიაში მხოლოდ საქართველოს შეუძლია საკუთარი ძალებით უპეკოთ გაუძღვეს შინაურ და გარეშე საქმეებსო.

ასეთსავე „მამულიშვილურ" საქმეებს აკეთებენ „საქართველო" და „კლდე". როდესაც დენიკინის ორგანოები ყოველდღე ცდილობენ სახელი გაუტეხონ ჩვენს რესპუბლიკას საერთოდ და ამ მიზნისთვის ჩვენ ფინანსებს სამასხაროთ იგდებენ, ეს რა გასაკვირველია, მტერი აბა რისი მტერია. აბა „ნაშ კრაიმ" რა უნდა დასწეროს. ჩვენი მთავრობა „ენერგიასა და ჯან ღონეს არ ზოგავს, დღე და ღამე განუწყვეტლივ ბეჭდავს ფულებს საქართველოს დემოკრატიის საკეთილდღეოთ"... ასეთ რამეებს სწერს ჩვენი ბონების შესახებ „საქართველო". დენიკინის მთავრობას აქვს „პროპაგანდის სამინისტრო", არ ვიცი ამ გაზეთების რამდენ ეგზემპლიარს იწერს თავის მიზნის განსახორციელებლათ ეს სამინისტრო, ხოლო თუ სრულიად არ იწერს, ეს დიდ ნაკლათ უნდა ჩაეთვალოს მას. განა რომელიმე მათგანს შეუძლია მეტი შეურაცხყოფა, შეგინება ქართველ ხალხის მიმართ, ვიდრე ამ საქართველოს მახინჯ შვილებს? ვის შეუძლია ასე უმსგავსოთ შეაფურთხოს საქართველოს რესპუბლიკას და თავის მშობელ ქართველ ერს, ვიდრე ამ ქამებს? გასაშტერებელი ამბავია! წარმოიდგინეთ, მკითხველო, მაგალითად, საფრანგეთში გერმანულ ენაზე გამოდიოდეს ისეთი გაზეთი, როგორც „ობნოვლენიე"? შეიძლება, რომ რომელიმე ერმა აპატიოს „საქართველოსა" და „კლდეს" მათი მოღვაწეობა!? ნუ თუ კიდევ ვისმეს სჯერა, რომ მათი „მამულიშვილობა", თავისებურათ გაგებული, მაგრამ მაინც პატრიოტიზმია. შეიძლებოდა ასე გვეფიქრა წინათ, მაგრამ დღეს ყველასათვის ნათელია, რომ მათ უყვართ „მამული" სივრცით შვიდ დესეტინაზე მეტი და ამ მამულისათვის სამშობლოსაც გაყიდიან, ერსაც და სინიდისსაც. ნუ თუ არ იციან, რომ მათი მოქმედება ღუპავს ქვეყანას, და თუ არ დაიღუპა და არც დაიღუპება, ეს მოხდა და მოხდება მიუხედავათ მათი მოღვაწეობისა. თუ კი მათ სამშობლო ჭეშმარიტათ უყვართ და მის დამხობას არ ეტრფიან, ნუ თუ იმის გაგება არ აქვთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა განმტკიცდება, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკა ანდა სრულიად არ განმტკიცდება. ნუთუ მათი უგნურება იქამდის მიდის, რომ შესაძლებლათ მიაჩნიათ, რომ დღეს შესძლებს საქართველოს მესვეურობას სხვა პოლიტიკური ჯგუფი. განა ის არ იციან, რომ რაიმე სასწაულის ძალით მათ ხელში ქვეყნის სადავე გადავიდეს, ეს სახელმწიფოს დასამარება იქნებოდა. ყოველმა შეგნებულმა მოქალაქემ ამ ჯგუფთა მოღვაწეობის შესახებ გადაჭრით უნდა დააყენოს საკითხი. რაშია საქმე—ღალატია თუ უგუნურება? თუ ორივე ერთათ? ყოველ შემთხვევაში ერთიც და მეორეც ქვეყნის დამღუპველია. ჩვენი უმზგავსო ოპოზიციის კითხვა უნდა მორიგ კითხვათ დაისვას ყველა იმ პოლიტიკურმა წრეებმა, რომელთაც სამშობლო და რესპუბლიკა მართლაც უყვართ. მარტო პრესა ამ კითხვას ვერ გადაჭრის.

რკინის გზელთა ყრილობა

რკინის გზელთა ყრილობა დასრულდა. ყრილობამ მთელი კვირა იმუშავა და მრავალი თავსამტრევი საკითხები გაარჩია. უნდა ითქვას, რომ არც ერთ პროფესიონალურ კავშირს არ ქონია და არ აქვს იმდენი რთული საკითხები მოსაგვარებელი, როგორც რკინის გზის კავშირს. და შეიძლება ითქვას, რომ ყრილობა ყველა ამ საკითხების გადაჭრაში იდგა იმ სიმაღლეზე, რომელიც მას შეეფერებოდა.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის, რომ არც დღის წეს-რიგში, არც სხვა დასხვა კითხვების გარჩევის დროს არც ერთ დელეგატს კრინტი არ დაუძრავს თავის მატერიალურ მდგომარეობაზე; და ეს არა იმიტომ რომ რკინის გზის დემოკრატია უზრუნველყოფილია, არამედ იმიტომ რომ მან კარგათ იცის რესპუბლიკის ფინანსიური მდგომარეობა; იცის, რომ თუ კი შესაძლებელი იქნება, მისი მთავრობა თვით ეცდება და იზრუნებს ამაზე; იცის, რომ ის თვით აშენებს სახელმწიფოს და ამ მუშაობაში მან უნდა გაიღოს მაქსიმალური მსხვერპლი; იცის, რომ მისი გაჭირვება ეს არის გაჭირვება ყველასი და თუ არ გაუმჯობესდა საერთო მდგომარეობა, ისე შეუძლებელია მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაც და აი ისიც მთელ თავის ყურადღებას აქეთ აქცევს და ერთხელაც არ ლაპარაკობს თავის პირად გაჭირვებაზე. მიუდგომელი ისტორია განცვიფრებით აღნიშნავს ამას და ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დიდი ასოებით ჩასწერს.

კავშირის ცხოვრებას ყრილობამ ახალი მიმართულება მისცა. იწყება ახალი ხანა, ხანა მისი ჩამოყალიბებისა. ეს ეტაპი, ჩვენის აზრით, შედარებით უფრო მძიმე იქნება, ვინემ პირველი, მაგრამ ჩვენ გვჯერა, კავშირი მას დასძლევს და ახალ პირობებშიაც თავის სიმაღლეზე დარჩება.

ყველაზე უფრო ფიცხი და გრძელი კამათი გამოიწვია ადმინისტრაციის კავშირის გარეთ დატოვებამ. ადმინისტრაცია კავშირის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა. ერთად მუშაობაში, ერთად საქმის კეთებაში დამყარდა ისეთი ურთიერთობა, რომ მისი ასე რადიკალურათ გაწყვეტა ბევრს დიდათ საზარალოთ მიაჩნდა. პრინციპიალურათ არავინ ეწინააღმდეგებოდა ასეთ ზომას, მარა მიზანშეწონილების მიხედვით ნაადრევათ მიაჩნდათ და მოითხოვდენ ერთი წლით კიდევ არსებული წესის დატოვებას.

დიდი კამათის შემდეგ ყრილობამ ადმინისტრაცია კავშირის გარეთ დატოვა. მარა ეს დადგენილება არ უნდა იქნას გაგებული არც ერთ მხრიდან ისე, თითქოს ამით ერთი-მეორეს უპირდაპირდება რკ. გზის დემოკრატიის ორი რაზმი. აქ დაპირდაპირება კი არაა, არამედ შრომის განაწილება, როგორც ეს სამართლიანად განმარტა ყრილობის თავმჯდომარემ. როგორც მუშა მოსამსახურეებმა, რომელიც კავშირში დარჩა, ისე ადმინისტრაციამ ყოველივე ზომა უნდა მიიღოს, რომ ამ დადგენილებით არ დაირღვეს ურთიერთ შორის განწყობილება და ასე შრომის განაწილებით როგორც საერთო, ისე პროფესიონალური საქმეები საუკეთესოთ მოგვარდეს. ამ დანაწილების პროცესში როგორც ადმინისტრაცია, ისე მუშა-მოსამსახურეები, ეჭვი არაა, შეითვისებს და შეიმუშავებს შრომის დისციპლინას, განკარგულება ასრულების სათანადო ჩარჩოებში ჩაყენებას და როცა ეს პროცესი დამთავრდება, დადგება დრო ერთი საერთო კავშირის შექმნისა. დღეს გაყოფილი რაზმები ისევ მოიყრის თავს ერთ კავშირში, მაგრამ ამ ერთად ყოფნას სახელმწიფოებრივ მუშაობაში უზრუნველყოფს ყოველგვარ გაუგებრობისაგან შეთვისებული იერარქიული მოვალეობის შეგნება ტრადიცია.

მაგრამ არის დღესაც ისეთი საკითხები, რომელნიც აუცილებელს ხდიან ადმინისტრაციისა და მუშა-მოსამსახურეების ერთ ორგანოში ყოფნას. ასეთია მაგ. სასურსათო საკითხი, სამოსწავლო ნაწილი და საპენსიო კასსა. მართალია, ზოგიერთი ამ საკითხთაგანი ყრილობამ უკვე გადასწყვიტა, მაგრამ დარწმუნებული ვართ, კავშირის გამგეობა ამ საკითხს საჭირო ყურადღებას მიაქცევს და სათანადოთ მოაწესრიგებს, ჩვენ პირადათ სრულიად მიზანშეწონილათ მიგვაჩნია სასურსათო საკითხში ის გეგმა, რომელიც წარუდგინა ყრილობას ამხ. ათაბეგმა.

საერთოდ ახალი ხანა კავშირისა ბევრ რამეს ავალებს ახალ გამგეობას და იმედი გვაქვს, ის ისე მხნეთ და ენერგიულათ შეუდგება მუშაობას და ისე პირნათლათ აასრულებს თავის მოვალეობას, როგორც ეს მოიმოქმედა ძველმა გამგეობამ.

განი.

მცირე შენიშვნა

ძალიან ცუდი მდგომარეობა შეუქმნია სოფლად შემდეგ გარემოებას: არსებობდა თურმე ისეთი პრაქტიკა მიწის სყიდვა გასყიდვის საქმეში, რომლითაც შინაურულად შედგენილ ნასყიდობის ქაღალდს ეყრდნობოდენ და ნოტარიუსის საშუალებით როდი ამტკიცებდენ. უმეტეს შემთხვევაში ასეთი პირობა დაწერილია ღერბის ქაღალდზე, ხელი უწერია ზედ მამასახლისს, მისი ბეჭედიცაა დასმული. დამსწრე მოწმეებსაც უწერიათ ხელი, გამყიდველის მხრივ სიტყვიერად გარანტიებიცაა დადებული—არ გამოგედავო არც მე, არც ჩემი შვილები, ნათესაობა და სხვა, თორემ ამდენი და ამდენი „ნეუსტოიკა" გადავიხადოო. ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ მყიდველი რამდენიმე წელიწადია ფლობს ნაყიდ მიწას. როგორც სრული მესაკუთრე, ამუშავებს მას და მოჰყავს პირნახული. ორი ასეთი ქაღალდი მაჩვენეს ქვემო იმერეთში გლეხებმა, ერთი 8 წელიწადია ფლობს, მეორე 9 წელი, დღეს კი გამყიდველს წინადადება მიუცია, რაც ფული მოგეცათ, მოგცემთ და ხელი აიღეთ. თუ არა და გიჩივლებთ სასამართლოში და მოვიგებ, ვინაიდან ნოტარიუსის წესით არაა ნასყიდობის პირობა დამტკიცებულიო. უჩივლიათ კიდეც ზოგიერთებს. იურისტები ამბობენ, გამყიდველები მოიგებენ და მიწას დაიბრუნებენო. თუ ეს ასეა, მაშინ დიდი [illegible] სოფლად ამ ნიადაგზე. შეიძლება სისხლის ღვრაც და მკვლელობაც მოჰყვეს. ამიტომ საჭიროა, რაც შეიძლება ჩქარა იქნეს მიღებული სათანადო ზომები მოსალოდნელ სამწუხარო მოვლენების თავიდან ასაცილებლად და სამართლიანობის დასაცავად. ყველაზე კარგი ზომაა, ჩემის აზრით, საკანონმდებლო გზით ამ საკითხის დაუყონებლივ მოგვარება—შესაფერისი კანონპროექტის ან დეკრეტის შემოტანა სათანადო უწყების მიერ დაყოვნება საქმეს უფრო გაართულებს.

ალ. ლომთათიძე.

პრესა

„საქართველო" სრულიად გატიტვლდა. ის აღარ ერიდება არავითარ ინსინუაციებს, ოღონდ კი თავის სპეკულიანტები დაიცვას. ამ ხელათ მან ნიშანში ამოიღო პროფ. ს. ავალიანი. „საქართველოს" ბალღები იმდენათ გათამამდენ, რომ სიტყვა პროფესორს ბრჭყალებში სვამენ. ისინი ამასაც არ სჯერდებიან და ბრალს სდებენ თითქოს მას 5 მილ. გაეტაცოს საბჭოთა რუსეთიდან. რამდენათ უნდა დაკნინდეს ზნეობრივათ გაზეთი, რომ ასეთი ინსინუაციებით გაუმასპინძლდეს პროფესორს, ცნობილ მოღვაწეს და რესპუბლიკის მთავრობის წევრს. ასეთ ხალხთან, რასაკვირველია, კამათი შეუძლებელია. ჩვენ აღვნიშნეთ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იცოდეს ჩვენმა მკითხველმა თუ რა წუმპე დგას „საქართველოს" რედაქციაში და რა უტიფარი საშუალებით იბრძვიან ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც გაბედავს და მათ საყვარელ სპეკულიანტებზე კრინტს დასძრავს...

უკანასკნელი ცნობები

მთიელთა აჯანყების გარშემო.

გაზ. „ვოლნი გორეც"-ის ცნობით აჯანყებულთ ისევ დაუპყრიათ დერბენდი და თემირ ხან შურა.

გროზნის რაიონში საჩეჩნეთის ტერიტორიაზე ოც ოქტომბრას რიცხვებში ცხარე ბრძოლა სწარმოებდა ოთხი დღის განმავლობაში. ბრძოლა დაიწყო მოხალისეთა ინიციატივით, რომელთაც განზრახვა ჰქონდათ ჩეჩნების ფრონტისთვის დაზვერვინებინათ. ოთხი დღის ბრძოლის შემდეგ მოხალისეები იძულებული გახდენ მოეხსნათ თავიანთი ფრონტი და გროზნისაკენ წასულიყვნენ. ჩეჩნების ნაწილებმა დაიპყრეს ახალი პრომისლი, რომელიც 4—5 ვერსით

დღეს

გერმანიის მთავრობა განმეორებით სთხოვს მოკავშირე და მეგობარ სახელმწიფოებს ბალტიის მხარის ბლოკადა გააუქმონ და გერმანიის დაკავებული გემები დააბრუნონ

ფრანგული პრესის ცნობებით შეერთებული შტატები არას დროს არ დახთანხმდება, რომ ფიუმე იტალიას გადასცენ.

საბჭოთა რუსეთის ბლოკადის გამო პროტესტის ნიშნად საფრანგეთის 27 და ელზას ლორენის პროფ. კავშირი მუშებს საყოველთაო გაფიცვისკენ მოუწოდებს.

ჩეხიის ქალაქებში სამხედრო ნაწილებში არეულობაა

პოლონეთში გაფიცვებია

კომუნისტების ცნობით კიევის, პოლტავის, ეკატერინოსლავის და ჩერნიგოვის გუბერნიებს დენიკინის საწინააღმდეგო აჯანყება მოედო. აჯანყება დონის და ყუბანის ოლქშიაც იწყება. პოლონური ბურჟუაზიული გაზ. „კურიერ პოლსკი"ს ცნობით აჯანყებულებს ეკატერინოდარი და ნოვოროსიისკი აულიათ.

პეტროგრადის ფრონტზე წითელმა ჯარმა აიღო ქ ლუგა და წინ მიიწევს. კომუნისტები იუწყებიან, რომ მათ მთლად გაანადგურეს იუდენიჩის და როძიანკოს ჯარები.

ასტრახანის მიმართულებით წითელმა ჯარმა სოლენოე-ზაიმიცე აიღო.

ბალაშოვის მიმართულებით წითელმა ჯარმა აიღო კლეცკოე, პოჩტოვსკი და ზიმნიაცკი.

არის დაშორებული გროზნიდან. ბრძოლის დროს სრულიად გაანადგურეს სამი ასეული ყაზახების 2 პოლკოვნიკით, ტყვეთ წამოიყვანეს მრავალი მოხალისე. ტყვეებს შორის იყვნენ რეალისტები, გიმნაზისტები და სტუდენტები, რომელთა გადმოცემითაც ისინი ძალით წამოიყვანეს მოხალისეებმა და წინა რიგში ერეკებიან მათ ყაზახები. ბევრნი მობილიზაციით წაყვანილნი მოხალისეების მიერ აჯანყებულების მხარეზე გადმოდიან. („ვ. გ.")

მთიელთა მეჯლისმა გადასწყვიტა—მოახდინოს ლიკვიდაცია თავის ორგანიზაციისა, მთელი საქმეები, ქონება და თავის ძალები გადასცეს დაღესტნის თავდაცვის საბჭოს რომელსაც ხელმძღვანელობს ალი ხაჯი იაკუშინსკი. თფილისში და ბაქოში დასტოვებენ თითო წარმომადგენელს, რომელნიც კავშირს დაიჭერენ ამ ქალაქში მცხოვრებ მთიელებთან.

მთიელთა რაზმებმა, რომელთაც ეპყრათ ზემო ნაწილი დერბენდის, და ბაღები და იძულებულ იყვნენ დაეხივნათ, კვლავ დაიპყრეს ქალაქის მიდამოები. 10 ოქტომბერს ღამე მოღალატურათ მოჰკლეს დერბენდის ფრონტის სარდალი პოლკოვნიკი რამაზანოვი, ამ ამბავმა დიდი არევა გამოიწვია აჯანყებულებში და ეს იყო მიზეზი, რომ დაიხიეს დროებით ბაღებიდან და გასწმინდეს ზემო ნაწილი ქალაქის. („ისკრა").

დასწვეს აული მამედ კალა, რომელიც დერბენდიდან 18 ვერსით არის დაშორებული.

საჩჩენეთის „მმართველმა" შემდეგი შინაარსის ბრძანება გამოსცა საჩჩენეთის მცხოვრებთა მიმართ: საწრაფოთ უცხადებ ყველა მცხოვრებთ, რომ ერთად ერთი საშუალება, რომ მათი აულები განადგურებულ არ იქნას, მდგომარეობს იმაში, რომ მათ დაუყონებლივ უნდა განდევნონ თავიანთ ტერიტორიიდან ყაჩაღთა ბანდები უზუმ ხაჯისა. ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს, ის მაშასადამე ბოლშევიზმის მომხრე იქნებაო. („ზნ. ტრ.").

განხეთქილება ადერბეიჯანში არსებულ „გუმეტის" პარტიაში.

„გუმეტის" პარტია ორად გაიყო. მისმა მარცხენა ფრთამ დაარსა თავისი „კომუნისტური პარტია", სოციალ დემოკრატიულმა ფრთამ დაარსა „ადერბეიჯანის სოციალ-დემოკრატიული პარტია" და ამ დღეებში გამოქვეყნდება დეკლარაციები ამის შესახებ.

დამფუძნებელი კრება

31 ოქტომბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე. მდივანი კითხულობს დამფუძნებელ კრებაში შემოსულ კანონ-პროექტების სიას და დღიურ წესრიგს.

გრ. ნათაძის მოხსენებით მიღებულია შემდეგი საბოლოო ტექსტები: 1) სამხედრო საჭიროებისათვის 15 მილიონი მან. გადადების დეკრეტისა, 2) სახაზინო რკ. გზის სამმართველოს 13,306,324 მან. დამატებით კრედიტის გახსნის დეკრეტისა.

ალ. ახათიანის მოხსენებით მიღებულია კანონ-პროექტი გზატკეცილების სამმართველოს წარსული წლის ხარჯების დასაფარავად 180,730 მან. და 22 კაპ. გადადების შესახებ. მუხლობრივი განხილვა შემდეგისათვის გადაიდო.

ივ. ჰავჰანიძისა და წულაიას მოხსენებით მიღებულია პროექტი დეკრეტისა—გზატკეცილების სამმართველოს განკარგულებაში 380,000 მან. კრედიტის გახსნისა—ოსეთის სამხედრო გზის შესაკეთებლად.

კრება ისმენს შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებას შინაურ მდგომარეობისა და ბოლშევიკურ გამოსვლების შესახებ, რომელიც საყურადღებო კამათს იწვევს ფრაქციათა შორის. მსჯელობაში მონაწილეობას ღებულობენ ყველა ფრაქციის წარმომადგენელნი, გარდა დაშნაკელებისა. მთავრობას ოფიციალური განმარტება ბოლშევიკების გამოსვლის შესახებ ჩვენი გაზეთის № 665-ში იყო მოთავსებული, აქ მოვიყვანთ მინისტრის სიტყვას შემოკლებით.

ნ. რამიშვილის სიტყვა.

მოქალაქენო, დამფუძნებელ კრების წევრნო! ვინც მიუდგომლად გაეცნობა უკანასკნელ ხანებში ჩვენში მომხდარ ამბებს, მისთვის ნათელი გახდება ის, რომ გამოსვლების დროს ჩვენ საქმე გვაქვს არა ისეთ ძალებთან, რომელნიც უკმაყოფილონი არიან ჩვენი სოციალ პოლიტიკური მდგომარეობით, არამედ უცხო სახელმწიფოთა ძალებთან, აქ გარეშე სახელმწიფოთა ხელი ტრიალებს, ჩვენს დამოუკიდებლობას იბრძვის ერთის მხრით შავი რეაქციის წარმომადგენლები და მეორის მხრით წითელ ხიშტებზე დაყრდნობილი ავანტიურისტები. ამ ორს გარეშე ძალას სურს გაანადგუროს ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო. ქართველ ერმა არა ერთხელ შესძლო უკუქცია ხმალ ამოღებული გარეშე მტერი, არა ერთხელ გადაარჩინა ჩვენი დამოუკიდებლობა თავისი შინაგანი სიძლიერით. ამიტომ გარეშე მტრები იძულებულნი არიან ტაქტიკა შესცვალონ, და შიგნიდგან გასტეხონ ჩვენი სიძლიერე; შექმნან ჩვენში ანარქია და ამ ანარქიის ტალღებში ჩაახრჩონ ჩვენი დამოუკიდებლობა. ჩვენი დამოკიდებულება რუსეთის რეაქციის მოციქულებთან გარკვეულია. მოხალისეთა წარმომადგენლებს სურთ შექმნან ჩვენში ანარქია. გამოაცხადონ, რომ ჩვენი მთავრობა ბოლშევიკურია, ამიტომ წესრიგის აღსადგენად საჭიროა შევიდეს შ გ უცხო ძალა. ასეთი განწყობილება მოხალისეთა მხრივ თავის თავად ბუნებრივია. ის ყოველ ძალღონით ცდილობს გააძლიეროს ჩვენში ანარქია, რომელიც გზას გაუხსნის რუსეთის რეაქციას ჩვენში. კიდევ უფრო აშკარაა კომუნისტების ჩვენდამი დამოკიდებულება. ისინი მარცხდებიან რუსეთის ევროპაში მათი ძალები სუსტდება და იძულებულნი არიან თავიანთი სამოქმედო ბაზა აზიაში გადაიტანონ. ამით აიხსნება მათი თურქესტანის ფრონტისადმი დიდი ყურადღების მიქცევა და აგრეთვე ჩვენში საომარი ოპერაციების გადმოტანა. მათ სურთ აზიის შეუგნებელი ქვეყნები ააფეთქონ და ჩაითრიონ საერთაშორისო რევოლუციაში. მათ კარგად ესმით, რომ კომუნისტური ექსპერიმენტებისათვის ჩამორჩენილს აზიას უფრო ამის ნიადაგი (ტაში ნ. დემოკრატების ფრაქციიდან) უკაცრავად! მე მოგახსენებთ ბოლშევიკურს კომუნიზმზე, რომელიც ხიშტებს ეყრდნობა და არა იდეურ კომუნიზმზე. ბოლშევიკების დღევანდელი მდგომარეობით აიხსნება ის, რომ ბოლშევიკები კომუნისტურ ექსპერიმენტებისათვის ახალს გზას ეძებენ და აზიისაკენ მიმართავენ თავიანთ ზინას. ასეთს პრაქტიკულს მდგომარეობიდან გამომდინარეობს ბოლშევიკური მთავრობის დამოკიდებულება ჩვენში, აქ ცდილობენ გადმოიტანონ თავიანთი სამოქმედო ოპერაციები. და სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ისინი გზავნიან ჩვენში მრავალ აგენტებს დიდძალი, ფულით რათა დაეცენ ჩვენი დემოკრატიული მთავრობა და აღადგინონ საბჭოთა ძალა უფლება ხიშტებით და არა იდეური ბრძოლით. ამ ძალთა ლტოლვილებით აიხსნება ის გამოსვლები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენში. ჩვენ ფაქტიურად იმს გვიცხადებენ და მტერი ისე მოქმედებს, როგორც მეომარი სახელმწიფო. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მათ გამოძებნეს არა ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელნიც ამ ავანტიურას არ აჰყვება, არამედ სხვადასხვა ჯურის ხალხი ნაძირალები. რუსები, ჩინელები და ხულიგანები, აი ის ელემენტები, რომლებსაც ეყრდნობოდენ მოძრაობის მეთაურნი. მათ მოიმხრეს ჩინელები და რუსეთიდან მოსული პირები, ეს მტკიცდება სამტრედიაში მომხდარ ამბებით. შემდეგ მათ რიგიან სამსახურში მოიწვიეს ცნობილი ყაჩაღები, მათ შორის ცნობილი ყაჩაღი პაიჭაძე—ინგლისელი ექიმის მკვლელი. თიანეთში შეპყრობილ ყაჩაღს ჯორბენაძეს აღმოაჩნდა სია ყაჩაღებისა. ერთი გარემოება კიდევ გვიმტკიცებს მათ კავშირს ყაჩაღებთან. გურიაში 22 ყაჩაღი,—გემ „მარიას" გამძარცველები—შეპყრობილ იქნენ იმით, რომ გურიაში შესვლისას ისინი კითხულობდნენ ბოლშევიკებს და ეძებდნენ ბოლშევიკურ ორგანიზაციას. ამით აიხსნება ის, რომ მათ კავშირი ჰქონდათ ბოლშევიკებთან. აგრეთვე ლაგოდეხის ამბოხებაში მონაწილეობას იღებდა ყაჩაღი პეპო. ამგვარად, ბოლშევიკებმა თავი მოუყარეს ყაჩაღებს და მათი საშვალებით ცდილობდნენ მოეხდინათ ტერორისტული აქტები და შექმნათ ანარქია. მათთვის სულ ერთი იყო, თუ ვინ მიიღებდა მონაწილეობას, მათ ერთი მიზანი ჰქონდათ, სასახლეში მოეყვანათ რუსეთში შემუშავებული სტრატეგიული გეგმა. ერთი გარემოება კიდევ: ამ შეთქმულების მეთაური და ყაჩაღების სულის ჩამდგმელი იყო ქოროღლი ილიკო მგელაძე. მე საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ გარდა ყაჩაღებისა, მათ რაზმებს ამშვენებდნენ დეზერტირები და სხვა ნაძირალა ელემენტები. ქერჩიდან ჩამოვიდა ოთხი ოფიცერი, ესენი ისეთი ელემენტებია, რომელნიც ფერს უმალ იცვლიან, სხვა და სხვა პერტუბაციის დროს. მათი მიზანია შექმნან ჩვენში ანარქია და ამით მისცენ საშუალება საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებს გამოილაშქრონ ჩვენს წინააღმდეგ. ეს გარემოება აერთებს ორს მოწინააღმდეგე ელემენტებს. ჩვენ საქმე გვაქვს ბოლშევიკებისა და დენიკინელების ბლოკთან; და ეს მტკიცდება მრავალი ფაქტებით, ბოლშევიკების გამარჯვების დროს ეძლევათ შემთხვევა დენიკინელების საომარი მოქმედება გააჩაღონ ჩვენში წინააღმდეგ. ეს გარემოება გვაძლევს გასაღებს იმ დამოკიდებულებისას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენში—ბოლშევიკებისა და დენიკინელების ბლოკის სახით.—რუსეთის შავი რეაქცია მოსწოლია საქართველოს ტერიტორიას და უცდის შესაფერს მომენტს, რომ დაამხოს ჩვენი დამოუკიდებელი რესპუბლიკა. აჯანყების მოწყობის დროს განსაკუთრებით სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა სოხუმსა და ფოთს, რომ შესძლებოდათ იმ ელემენტებს გამარჯვება, გაგრის ფრონტი მაშინვე დაირღვეოდა და გამოიწვევდა არა საიმედო შინაურ ელემენტების ამოძრავებას სოხუმში;—ფოთში ჩვენს წინააღმდეგ ამოძრავდებოდა მტრის ძალები და ამ გვარად საყურადღებო სტრატეგიული პუნქტების დაპყრობით მტერი შიგ გულში ჩაგვცემდა ლახვარს. ბოლშევიკების დროშის აფრიალება ჩვენს ტერიტორიაზე და მათი გამარჯვება, ეს იქნებოდა ის, რომ მოაგროვებდა ჩვენს საზღვრებში დენიკინის შავს რეაქციას, (ხმა ადგილიდან: თქვენ რომელი დროშა გაქვთ?)—ჩვენ გვაქვს ერთი დროშა ხალხის თავისუფლებისა. ასეთი იქნებოდა ჩვენი მდგომარეობა. ჩვენ გვქონდა წინ და წინ მიღებული ცნობები და ამით აიხსნება ის, რომ არც ერთ უმთავრეს ადგილებში გამოსვლა ვერ მოახდინეს. მთავრობისა და ადგილობრივ თვითმართველობის წყალობით ჩვენში მოწყობილი გამოსვლები ჩაქრობილ იქმნა. ის გამოსვლა, რომელიც მზადდებოდა ფოთში, მეტის მეტად ფართო იყო. ამ გამოსვლაში ჩათრეული იყო ის ელემენტები (მეზღვაურები და ჯარის კაცნი), რომელთაც პირდაპირი მოვალეობაა სახელმწიფო სამსახური და დაცვა. საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ მზადდებოდა, აგრეთვე დიდი გამოსვლა თიანეთში, მაგრამ ყველა მეთაური ელემენტები დროზე იქმნა შეპყრობილი ადგილობრივ თვითმართველობის, ადმინისტრაციისა და გვარდიის დახმარებით. ლაგოდეხთან ერთად გამოსვლა განზრახული იყო თელავშიაც... მიუხედავად ჩვენ მიერ მიღებული ზომებისა, ჩვენში მაინც მოხდა გამოსვლები, მხოლოდ ისეთს ადგილებში, სადაც მოსალოდნელი ნაკლებად იყო. როდესაც ამბოხების მეთაურები დარწმუნდნენ, რომ მთავარს ცენტრში არ შეიძლებოდა გამოსვლა, მოქმედება სხვაგან გადაიტანეს და სწორედ მთელი გამოსვლები ამით დათავდა.

ჩვენ აქ გადაჭრით უნდა განვაცხადოთ, რომ გამოსვლებს ხალხი არ უთანაგრძნობდა, რომ ხალხი დემოკრატიული რესპუბლიკის დამცველია. მომავალშიც ჩვენ იმედი გვაქვს დემოკრატია არ აჰყვება იმ ავანტიურისტებს, რომელნიც ხალხში დარბიან და საშუალებას მისცემს მთავრობას დაამთავროს დაწყებული რეფორმები და დაიცვას დემოკრატიული რესპუბლიკა გარეშე საფრთხისაგან. ხალხმა კარგად იცოდა, რომ თუ ის გაჰყვებოდა ანარქიის გზას, ამით შეჩერდებოდა აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარება. (ხმაურობა ნ.-დ. სკამებზე). აი აქ არიან ბ-ნნი ნაც. დემოკრატები, ახსნა იმ გარემოებისა, რომ ხალხი არ აჰყვა ანარქიულს გამოსვლას, რომელიც დიდ სოციალურ რეფორმების განხორციელებას და რევოლუციის მონაპოვარს საფრთხეში ჩააგდებდა. (მაჭავარიანი: რა შუაშია აქ აგრარული რეფორმები?) იმ შუაში, რომ ხალხში არ ყოფილიყო შეგნება, ის გამოსვლას აჰყვებოდა, მაგრამ ხალხმა იცოდა კარგად, რომ ანარქია შეაჩერებდა ჩვენში საწარმოო ძალთა განვითარებას, განაძლიერებდა სპეკულიაციას და გაამეფებდა შიმშილს აი ეს გარემოება იცოდა კარგად ხალხმა და ამიტომ ზურგი აქცია ანარქიის მეთაურებს.

დამფუძნებელი კრებისათვის საინტერესოა ერთი რამ: რამდენად მოსალოდნელია მომავალში ასეთი ექსპერიმენტები ჩვენში. ჩვენ თავშივე მოგახსენეთ, რომ ბოლშევიკების მთავარი ყურადღება მიქცეულია აზიის ფრონტისაკენ და, აგრეთვე, ამ გამოსვლებს ხელმძღვანელობენ ისეთი ელემენტები, რომელნიც მეთაურები არიან. მთავრობა ფიქრობს, რომ უნდა იქმნეს მიღებული შესაფერისი და სასტიკი ზომები. ამ ანტირესპუბლიკანურ და ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებს ხელს უწყობენ სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტები და დეზერტირები. ბრძოლა მათ წინააღმდეგ, ეს იქნება ბრძოლა ანტისახელმწიფოებრივ ელემენტების გასანადგურებლად. თუ დამფუძნებელი კრება ჩვენს აზრს მიიღებს, რომ უნდა ერთხელ და სამუდამოდ მოხდეს ლიკვიდაცია ყოველგვარ ასეთი მავნე ელემენტებისა, ჩვენ მოვსჭრით ამით იმ ხეს, რომელზედაც სხედან ავანტიურისტები და ამზადებენ ამით ანტისახელმწიფოებრივს გამოსვლებს. ამ გამოსვლებს არა აქვს ადგილი ჩვენს ცხოვრებასთან. მაგრამ ჩვენს სახელმწიფოს საზღვრებში იმყოფებიან ასეთი ელემენტები, რომელნიც კისრულობენ განაგრძონ აგენტობა, ქმნიან ანტისახელმწიფოებრივ მდგომარეობას და ანარქიას. ჩვენ მიზნათ ვისახავთ ასეთი ელემენტებისაგან სახელმწიფოს გაწმენდას. ის ელემენტები, რომელნიც აქ რჩებიან არა დასახმარებლათ და საკეთილდღეოდ, არამედ ანარქიის შესაქმნელად, უნდა განიდევნოს ჩვენი საზღვრებიდან და განიწმინდოს ჩვენი რესპუბლიკა. ასეთი გზით საშუალება მოესპობათ მავნე ელემენტებს ჩარევისათვის და უცხო ძალების შემოჭრასაც შევაჩერებთ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დამფუძნებელი კრება და მთელი დემოკრატია დაეხმარება მთავრობას, რომ აღმოფხვრას ანარქია და დაამყაროს ის წესრიგი, რომელიც საჭიროა ჩვენში აღმაშენებლობითი მუშაობისათვის. მე მჯერა, რომ მთავრობის გზა არის ხალხის გზა და თქვენი მთავრობა ამ საშუალებით შეეცდება დაიცვას დემოკრატიის ინტერესები (ტაში).

(დასარული იქნება).

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

3 ნოემბერი.

მოხალისეთა ცნობები

სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლის შტაბის ოფიციალური ცნობა.

ტაგანროგი ოქტ. 21 (ძვ. სტ.) ასტრახანის მიმართულება: ზღვის ნაპირის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. მკაცრი ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგემ ჩვენ ჯარებს სოლენოე ზაიმიცე დაატოვებინა. კამიშინის მიმართ. ლოზნოე პოპოვ პესჩანსკის ხაზზე მტერი ჩვენი მოწინავე ნაწილების უკან დახევას ცდილობდა, მაგრამ მტერი დავამარცხეთ და მდგომარეობა აღვადგინეთ. ბალაშოვის მიმართ. მდ. მედვედიცას შესართავის რაიონის აღმოსავლეთით მტერმა აიღო კლეცკოე, პოჩტოვსკი და ზიმნიაცკი; ჩვენმა ჯარმა ხოპერისკენ დაიხია. სად. ანინსკაიასთან სამხრეთით ჩვენ დონის ნაწილებს მტერმა ფრთებიდან შემოუარა, რის გამოც ანდრეევსკ სარატოვის ფრონტზე დაიხია. ნოვოხოპერსკის ჩრდილო აღმოსავლეთით გენ. კონოვალოვის ცხენოსანმა ჯარმა ოქტომბრის 15 ს, უვაროვსკის რაიონში დაამარცხა საბჭოთა 2 პოლკი და საარიერგარდო რაზმი, წამოიყვანა 1700 ტყვე და ხელთ იგდო 6 ზარბაზანი და 16 ტყვიისმფრქვეველი, სულ კიდოის განმავლობაში ოქტომბრის 15 წამოიყვანა 3000 ტყვე და ხელთ იგდო 16 ზარბაზანი და 80 ტყვიისმფრქვეველი ვორონეჟის მიმართულებით ბობროვის და ლისკის ჩრდილოეთით მდგომარეობა უცვლელია. ვორონეჟის დასავლეთიდან ახალი ცნობები არ მოსულა. ორლოვის მიმართ. ელეციდან რკ. გზ. გასწვრივ სამხრეთ. მოწინააღმდეგე წინ მოიწევს, ჩვენი ჯარი მას აკავებს. ორიოლის და კრომის რაიონში მკაცრი ბრძოლები გრძელდება. ბრიანსკის მიმართულებით: დმიტროვსკის სამხრეთით ბრიანსკ ზობროვის ხაზზე ბრძოლაა. გომელის მიმართულებით: მდ. დესნაზე სროლაა. ჩერნიგოვის მიმართ. მოწინავე ნაწილების შეტაკებებია. ფასტოვისკენ ჩვენი ჯარი წინ მიიწევს, წითლების წინააღმდეგობა სძლია და დეპო დაიპყრა. ბრძოლა გრძელდება. მოგილიოვის მხრიდან ახალი ცნობები არ მოსულა

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. №-ის არმიის შტაბი, ნოემბრის 1. ლუგის აღების დროს აღსანიშნავია ჩვენი ერთი როტის გმირული მოქმედება, რომელმაც მტრის 2 პოლკი დაამარცხა და ქალაქში შეიჭრა. როტამ წამოიყვანა 250 ტყვე და ხელთ იგდო 17 ტყვიისმფრქვეველი. თავზარდაცემულმა მტერმა დაიხია.

გომელი, ოქტ. 31. კიევიდან ჩამოსული ამხანაგი გადმოგვცემს, რომ იქ მდგარი „ვოლჩი დივიზია" სძარცვავს და ხოცავს ებრაელებს. ვერავინ ბედავს ქუჩაში გამოსვლას, სადაც გაფანტულია საქონელი და სახლის ავეჯეულობა. განაპირა უბნებში ყოველდღე სცარცვავენ ღარიბ ებრაელებს.

მოსკოვი, ნოემბრ. 1. საბჭოთა რუსეთის ბლოკადის გამო, პროტესტის ნიშნათ, საფრანგეთის 27 და ელზას ლორენის პროფეს. კავშირი მუშებს საყოველთაო გაფიცვისკენ მოუწოდებს.

ბისტრიცაში და ჩეხიის სხვა ქალაქებში სამხედრო ნაწილებში დიდი არეულობა მოხდა, ჯარისკაცებმა სარდლები გარეკეს და მთავრობას მოსთხოვეს: მასარიკის დიქტატურის გაუქმება, ქარხნების სოციალიზაცია და მიწის რეფორმის განხორციელება.

ლიუბლინის, პლოცკის და ლომჟის გუბერნიის ნაწილებში დიდი გაფიცვებია. გაფიცულებს და პოლიციის შორის სისხლის ღვრა მოხდა. კიევის, პოლტავის, ეკატერინოსლავის და ჩერნიგოვის გუბერნიებს დენიკინის საწინააღმდეგო აჯანყება მოედო, აჯანყება დონისა და ყუბანის ოლქშიაც იწყება. პოლონური ბურჟუაზიული გაზ. „კურიერ პოლსკი"ს ცნობით, აჯანყებულებმა ეკატერინოდარი და ნოვოროსიისკი აიღეს. აჯანყებულებს ნავთ სადგურის მუშები მიემხრნენ. მიუხედავათ მუქარისა, აჯანყებულები არ ნებდებიან. ტობოლის და ენისეის გუბ. და ალტაის ოლქში კოლჩაკის მიერ ძალით გაწვეულები ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლაზე უარს აცხადებენ. მრავალი გადმოდის ჩვენ მხარეზე. პოლონელების მიერ დაჭერილ ადგილებში გლეხების აჯანყება ძლიერდება.

ნაუენი. ოქტ. 31. გერმანიის მთავრობამ უმაღლეს საბჭოს მეორე ნოტა გადასცა მოკავშირეთა საზღვაო კომისიის რადიოს გამო, რომელიც აცხადებს, რომ ზღვაში გასული გერმანიის ყველა გემები დაკავებული იქნება. გერმანიის მთავრობის მიერ მიღებულ ცნობებით, ინგლისელების მიერ დაჭერილი 3 გემი რეველში მიიყვანეს, დ ნარჩენი ლიბავაშია, რამდენიმე ნავი დანიის წყლებში დააკავეს. ამ ზომებით გერმანიის ეკონომიურ ინტერესებს დიდი ზარალი მიაყენეს. გერმანიის ნავთ სადგურებში შეჩერებულია დასამუშავებელ საქონლითა და სურსათით სავსე გემები. ბლოკადამ საშინელი შედეგები გამოიწვია თევზის მრეწველობის საქმეში. აღმოსავლეთ პრუსიის ნახშირით უზრუნველყოფა შეუძლებელი შეიქნა ბლოკადის გამო კენიგსბერგში ელექტრონის ქარხნები დაიკეტა. საფრთხე მოელის ათას ქარხანა-ფაბრიკას. გერმანიის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს ბალტიიდან ჯარის საჩქაროდ გამოსაყვანად. ყოველგვარი ზომებია მიღებული, რომ ჯარი რუსებისკენ არ გადასულიყო. მიუხედავათ გერმანიის მთავრობის სინდისიერ მოქმედებისა, გერმანიის ნავთსადგურების ბლოკადა მაინც გამოაცხადეს. გერმანია გრძნობს, რომ მას ნება აქვს მთელი ქვეყნის წინაშე განაცხადოს პროტესტი იმ ზომების გამო, რომელიც ბალტიის საქმეების სრულიად გარეშე მდგარ მცხოვრებთ დიდ გასაჭირს აყენებს. ამიტომ გერმანიის მთავრობა განმეორებით სთხოვს მოკავშირე და მეგობარ სახელმწიფოებს, ბლოკადა გააუქმონ და დაკავებული გემები დააბრუნონ.

მოსკოვი. ნოემბრის 2. სამხედრო ცნობიდან. დასავლეთის ფრონტი. ფინეთის ყურეს რაიონში ბრძოლაა. როპშისთან ჩვენ სოფ. სემიარაიკა და ფაბრიჩნაია დავიჭირეთ. გატჩინის მიმართულებით წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელში ჩავიგდეთ ტყვიის მფრქვეველები და სხვა ქონება. ლუგის რაიონში ჩვენი ჯარი უტევს. მოგვყავთ ტყვეები, ხელში უვარდებათ ზარბაზნები და სხვადასხვა ქონება. გდოვის მიმართ. ჩვენი ჯარი მდ. პლიუსის ხაზზე გამოდის. წითელი ჯარი მერეზინაზე გადავიდა და შეტევას განაგრძობს. ვოლინის ნოვგოროდის ჩრდილოეთით მტერი დავამარცხეთ.

სამხრეთის ფრონტი. კურსკის მიმართულებით რკინის გზის აღმოსავლეთით მტერს ვაიწროვებთ ჩვენი ჯარი ლივანზე უტევს. ბორისოგლების რაიონში მტერი ხოპერზე უტევს. უსტ-მედვედიცის რაიონში სკურიშენსკაიას ჩრდილოეთით ჩვენ მტრის დივიზია დავამარცხეთ. შეტევა გრძელდება. მდ. მედვედიცის ორივე მხარეზე ჩვენი შეტევა ვითარდება. ცარიცინ ჩერნი იარის გზატკეცილზე ჩვენი ჯარი უტევს. აღმოსავლეთის ფრონტი. პეტროპავლოვსკის სამხრეთით 30 ვერსზე ჩვენი ჯარი შეტევას აწარმოებს. პეტროპავლოვსკის დაჭერის დროს ჩვენ 1500 ტყვე წამოვიყვანეთ. ხელში ჩავიგდეთ 10 ტყვიისმფრქვეველი, ზარბაზნები, საწყობი ტანისამოსით და ფეხსაცმელებით და სხვა მასალა. ილეცკოვის და ტობოლის რაიონში ჩვენი შეტევა კარგად მიდის.

გერმანიის დამფუძნებელი ყრილობის სხდომაზე [illegible] სა[illegible] მინ. [illegible] რომელიც ნავარაუდევია მოკავშირეთა ჯარის შესანახად, უნდა გადიდებულ იქნეს 310 მილიონ მარკიდან 330-დე. გერმანიის ეროვნულმა სესხმა 204 მილიარდ მარკას მიაღწია. ეროვნულმა ყრილობამ, დაამტკიცა რა ბიუჯეტი, ნოემბრამდე დაიშალა.

იტალიური პრესის ცნობები

ბრიტანეთის მთავრობამ იტალიისას მადლობა განუცხადა იმის გამო, რომ იტალიის მისიამ ბერლინში მოაწესრიგა გერმანიიდან ტყვე ინგლისელების სამშობლოში დაბრუნების საკითხი.

მოკლე ხანში დაიწყება ჰაეროპლანების სარეკორდო ფრენა. ფიქრობენ, რომ სიჩქარის რეკორდი 300 კილომეტრს მიაღწევს, ხოლო სიმაღლისა—10,000 მეტრს.

გერმანული პრესის ცნობები.

ბელგიის ალორძინების მინისტრმა მრეწველებს ურჩია საქონელი გერმანიაში შეისყიდონ. ბელგიის მთავრობამ ვისბადენში საინფორმაციო ბიურო დაარსა ბელგიელ მომხმარებელთათვის

იმის გამო, ვითომ ჩიჩერინს ნოტით გაეფრთხილებინოს გერმანია, რომ საბჭოთა რუსეთის ბლოკადაში მონაწილეობა არ მიელო, გამოირკვა, რომ აქამდე გერმანიას ასეთი ნოტა ჯერ არ მიუღია, ხოლო ნეიტრალურ ქვეყნებს კი საბჭოთა მთავრობამ დაუგზავნა ასეთი გაფრთხილება.

ფრანგული პრესის ცნობები.

ჩერნოგორიაში მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ანდრეი რადოვიჩი, სერბია კროატელთა და სლოვენების მთავრობამ საზავო კონფერენციაზე რწმუნებულ დელეგატად დანიშნა.

ნამდვილი ცნობებით ამტკიცებენ, რომ შეერთებული შტატები, როგორც ეხლა გამოირკვა, არასდროს არ დათანხმდება, რომ ფიუმე იტალიას გადასცენ.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. სოც. დემ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.

◆ **მისალმება.** ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი ამიერ-კავკასიაში მისალმა საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს და იხსენიებს რა მის მემორანდუმს №18—21 ოქტომბრიდან, აუწყებს რომ შავი ზღვის არმიის მთავარსარდალმა ალბათ იცის, რომ გენ. კორის სევასტოპოლში არ გაუკეთებია არავითარი ისეთი განცხადება, რომელიც მას მიაწერა თფილისის პრესამ. უმაღლესმა მთავარსარდალმა არაფერი იცის იმ პროკლამაციის შესახებ, რომელიც ვითომ პოლკ. როლანდსონს გამოუშვია და ფიქრობს, რომ, ეს ცნობა უსაფუძვლოა. ბ-ნ უორდროპს არაფერი აქვს საწინააღმდეგო, რომ ზემოაღნიშნული გამოქვეყნდეს პრესაში, თუ ამას ე. გეგეჭკორი სასურველად სცნობს.

◆ **ამერიკის პოლიტიკურ საინფორმაციო მისიის,** უფროსმა ვ. კ. მურმა გარეშე საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს შემდეგი ტელეგრამით მიმართა: „ჩემდა სამწუხაროდ, ვტოვებ რა საქართველოს, ერთხელ კიდევ გიხდით დიდ მადლობას იმ პატივისცემისათვის, რომელიც თქვენ აღმომიჩინეთ. ვუსურვებ საქართველოს ყოველივე კარგს".

◆ **გერმანელი ტყვეები.** შაბათს, 1 ნოემბერს გერმანელთა კლუბში მოხდა გერმანელ ტყვეების პატივსაცემლად გამოსამშვიდობებელი საღამო. პირველად ტყვეებს სიტყვით მიესალმა შულცი, შემდეგ შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა დამფ. კრების წევრმა ერ. ბერნშტეინმა, რომელმაც აღნიშნა გერმანელ ჯარისკაცთა როლი საქართველოს გადარჩენის საქმეში. დასასრულ გაიმართა ლექსების კითხვა, რომელშიაც მონაწილეობდნენ თვით ჯარისკაცები და თავიანთი ლექსებით ქებით იხსენიებდნენ ქართველ ხალხის გმირობას. იყო სადღეგრძელო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა.

◆ **წ. კ. ს. მაღაზიის გადატანა.** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზია გადადის რუსთაველის პროსპექტზე № 9, სასტუმრო „ორიანტის" ქვეშ პოპოვის ყოფილ ჩაის მაღაზიაში, წიგნების ცენტრალური სავაჭროს გვერდით.

◆ **ქართველ მხატვართა საზოგადოება.** ამ მოკლე ხანში მართავს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მხატვართა საერთო გამოფენას.

◆ **დანიშვნა.** საქართველოს რკინის გზის სასურსათო საქმის მთავარ რწმუნებულად დაინიშნა ათაბეგი.

◆ **ინჟინერ ალიმ კასუმბეგოვის** მკვლელი არ არის დაჭერილი. სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო გრიგოლ ეგიევი, რომელსაც ლორის მე

ის ქუჩაზე აქვს ფეხსაცმელების სა- ონო. როგორც ირკვევა მკვლელი სახელოსნოში შესულა, ტანსაცმელი მოუცვლია, დაუტოვებია დუქანში ოლვერი „მაუზერის" სისტემისა, ფაფახი და გაქცეულა. საქმის გა- ძიება მიენდო მე-3 უბნის გამომძიე- ბელს.

✦ **სახალხო თეატრი.** დღეს, სახ. ს. ქართ. წარმ. მართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქარ- სცენაზე „რევოლიუციონური წილი". ადგილების ფასი სახალხოა. იწყება სად. 8 საათზე.

✦ **ქალაქის გამგეობის სასურსათო** ომ დაიწყო საპნის განაწილება სა- მწიფო, საზოგადო და კერძო და- ებულებათა მოსამსახურეებს და მუ- შორის. თითო სულს მიეცემა 3 საპონი, გირვანქა 11 მანეთად. ვანაც საპნის განსაზღვრული რაო ნობაა, საქონელი მიეცემათ მათ, ვინც ველი წარმოადგენს სიებს.

✦ **ქაღალდი.** უკანასკნელ ხანებში თუმში და ფოთში დიდძალი ქაღალ შემოდის, როგორც სხვაზეთო, ის ამან გამოიწვია ქაღალდის ფასის დაცემა.

✦ **მანუფაქტურა.** იტალიიდან და ფრანგეთიდან შემოდის სამანუფაქ ურო საქონელი, მოსალოდნელია ამ ეებში დიდძალი საქონლის მიღება.

✦ **„შევარდენის" საღამო** 1 ნოემბერს, შევარდენის საზოგადოების დარბაზში მართა საღამო. საინტერესო იყო ცხალი კინემატოგრაფი, რომელსაც „შევარდენები" ასრულებდნენ. იყო სხვა- სხვა გვარი ვარჯიშობანი. ხალხს „შევარდნები" მეტად მოეწონა.

✦ **თვითმკვლელობა.** 1 ნოემბერს, რის ქუჩაზე მცხოვრებმა ვ. პეტ- ოვმა რევოლვერის ტყვიით თავი მო- ლა.

✦ **ავტომობილის მსხვერპლი.** 1 ნოემბერს, სახსლის გარაჟის ავტომო- ლმა № 3, შოთარუსთაველის და ერ- ლოვის ქუჩების კუთხეში, გასრისა ნობი ქალი, რომელიც იქვე გარდა- ვალა.

✦ **ფეხბურთში შეჯიბრება.** კვირას, 2 ნოემბერს მოხდა შეჯიბრება „შევარ- დენის" საფეხბურთო ჯგუფისა და თფი- სის სხვა ფეხბურთის მოთამაშეთა ერთიანებულ ჯგუფებს შორის. გაი- მარჯვა „შევარდენის" ჯგუფმა.

✦ **„ტენისი".** ამ დღეებში „ტენის"- უბში მოხდა შეჯიბრება, რომლის ზანი იყო პირველობის გამორკვევა მთელ კავკასიაში. ქალთა შორის პირ- ველი ჯილდო მიიღო „შევარდენმა" ქალმა მედეა ლომბაშიძემ.

✦ **ცეცხლი.** 2 ნოემბერს, ღამის ათ საათზე მიხაილოვის ქუჩაზე სავაჭროს № 101 გაუჩნდა ცეცხლი, რაიც მალე აქვრეს.

✦ **თვითმკვლელობის განზრახვით.** 1 ნოემბერს, ბელინსკის ქუჩაზე მცხოვ- რებმა ტერ-ოჰანეზოვმა თვითმკვლელო- ბის განზრახვით მკერდში რევოლვერი იცა. დაჭრილი მიხეილის საავადმყო- ფოში გაგზავნეს.

✦ **ქურდების დაპატიმრება.** შეოთ- რაიონის კომისარმა სისტ. „იალტა- ში" დააპატიმრა განჯიდან ჩამოსული ქურდების ჯგუფი, რომლებსაც მოუხ- დენიათ ქალაქის სხვადასხვა ადგილებში ელი რიგი ქურდობისა. ქურდები გა- უტყდენ დანაშაულში.

✦ **ვერის მეექვსე სამოქალაქო სკოლაში.** მშობლების თხოვნით ვერის მე- ვსე სამოქალაქო პირველ დაწყებით სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ გადა- წყვიტა იშუამდგომლოს ქალაქის წი- ნაშე გახსნას პირველი და მეორე პარა- ლელური განყოფილება.

✦ **ს. ს. დ. მ. პ. ცენტრალურმა კო-** მიტეტმა სენაკის ს. დ. კომიტეტიდან იღო 936 მ., შეკრებილი ამხანაგებში ფ. ჩიხლაძის ობლების სასარგებლოთ.

✦ **იაფი რვეულები.** კანტორა „გა- ნათლება"-ში იყიდება ყველანაირი რვეულები ქალაქთა კავშირის გამოცე- მა, ფასი 2 მან.

✦ **გაზეთების შეწყვეტა.** ფულის მოუგზავნელობის გამო დღეს გაზეთე- ბი უკანასკნელად იგზავნება საპი- ლაოში.

✦ **ქურდობა.** 2 ნოემბერს, ამაღლე- ბის ქუჩაზე მცხოვრებ არხიმანდრიტ ევანდს მოჰპარეს 19,000 მანეთად ღი- რებული საოჯახო ნივთები.

პროვინციის ქრონიკა

ოზურგეთი. შაბათს, 8 ნოემბერს ოზურგეთში დანიშნულია სოციალ დემოკრატიული პარტიის გურიის კომიტეტის სხდომა. წევრების დასწრება სავალდებულოა.

სომხეთში

პოლკ. ჰასკელის მოადგილე.

პოლკ. ჰასკელის მოადგილედ სომხეთში დაინიშნა პოლკ. ტელფორდი.

მიმოსვლის სამინისტრო

სომხეთის მთავრობას აზრად აქვს დაარსოს ერთი სამინისტრო მიმოსვლისა, რომელსაც დაექვემდებარება რკინის და შარა გზები, ფოსტა, ტელეგრაფი და საავტომობილო მოძრაობა.

საქონლის შეძენა.

ინჟენ. ევანგულოვმა სახელმწიფო მოსამსახურეთა სახელით წარადგინა აიკოპის გამგეობაში მოხსენება, სადაც მოითხოვს 15 მილ. მან. გადადებას იმ ექსპედიციისთვის, რომელიც მიემგზავრება ევროპაში საქონლის შესაძენად.

ადერბეიჯანში

ლენქორანში

მაზრის უფროსმა ცნობა მიიღო, რომ სოფელ პრივოლნოეში (ლენქორანის მაზრა) მზადდება ბოლშევიკური გამოსვლა, რომლის სულის ჩამდგმელათაც ითვლება სოფლის მწერლის—ივანოვის მკვლელი ისაია იაკობის ძე ზოჩარნიკოვი. მაზრის უფროსი მხლებლებით მაშინათვე გაეშურა სოფ. პრივოლნოესკენ და მოსთხოვა აჯანყებულებს ნებაყოფლობით იარაღის დაყრა, რათა თავიდან აცილებული ყოფილიყო სისხლის ღვრა. მაგრამ შეთქმულებმა უარი განაცხადეს და დაუწყეს მოსულებს სროლა. მაშინ მაზრის უფროსმა შეყარა სოფლის ყრილობა და მცხოვრებლებთან ერთად და უკანასკნელთა ნებაყოფლობითი დახმარებით ალყა შემოარტყა შეთქმულებს. დაჭერილ იქნა შემდეგი პირები: ისაია ზოჩარნიკოვი, მარკეი პოსტოვალოვი, ისაია კალინინი, პავლე ბარინოვი, ან. ზვეზდილინი, იაკ. პეჩონკინი, ივ. ტუშევი, ის. ზაკაროჩკინი და ანანია ნოვიკოვი. მათ აღმოაჩნდათ დაწვრილებითი გეგმა გამოსვლის მოსაწყობათ. ჰქონიათ ფარული კავშირი კუჩუკ-ხანთან და ამ უკანასკნელის დახმარებით განზრახული ჰქონებიათ სოფ. პრივოლნოეში საბჭოთა მთავრობის აღდგენა. („აზერბ.")

სომხეთ-ადერბეიჯანის კონფერენცია.

25 ოქტომბერს სომხეთსა და ადერბეიჯანს შორის მოხდა გაცვლა-გამოცვლა ნოტებისა იმ კონფერენციის შესახებ, რომელიც ამ მოკლე ხანში უნდა იქნეს მოწვეული.

უცხოეთი

ევროპის ომის მსხვერპლთა რაოდენობა.

სტატისტიკური ცნობების თანახმად ევროპის ომის მსხვერპლთა რაოდენობა შემდეგია: რუსეთი: მოკლულთა რიცხვი 1700000, ავადმყოფობით გარდაიცვალა 1.300000, დაჭრილნი 4960000, ტყვეთ წაყვანილი 2 მილ. ნახევარი, სულ 10,460000. გერმანია: მოკლულია—1.600,000, ავადმყოფობით გარდაცვლილა 400,000, დაჭრილნი 3 მილიონი, ტყვეთ წაყვანილნი 500,000, სულ 6 მილ. ნახევარი. საფრანგეთი: მოკლული 1035,300, ავადმყოფობით გარდაცვლილა 500,000, დაჭრილია 3 მილიონი, ტყვეები 435000, სულ 5.240,000. საფრანგეთის ახალშენები: მოკლულია 40 ათასი, ავადმყოფობით გარდაცვლილი 17,500, დაჭრილნი 44 ათასი, ტყვეთ წაყვანილნი 3,500, სულ 105 ათასი. ავსტრიაში მოკლულია 800 000, დაჭრილია 1.941,000, ტყვეები 1.172,000, სულ 3.913,000. ინგლისი: მოკლულია 706,700, ავადმყოფობით გარდაცვლილა 250 ათასი, დაჭრილნი 1 მილ. ნახევარი. ტყვეთ წაყვანილნი 200 ათასი. სულ 2,066,000. ოსმალეთი. მოკლულნი—200,000. ავადმყოფობით გარდაცვლილა 60,000. დაჭრილა 200,000, ტყვე—100,000. სულ 610,000. სერბია: მოკლულნი—102,000, ავად. გარდაც. 25,000, დაჭრილნი—150,000, ტყვეთ 50,000. სულ 327,000. ბულგარეთი: მოკლულნი—100,000, ავადმყოფობით გარდაცვლილა 30,000, დაჭრილნი 150,000 ტყვეთ წაყვანილნი — 50,000. სულ 330,000. რუმინია—მოკლულია 100,000, ავად. გარდაიცვალა 30,000, დაჭრილა 105,000, ტყვე 75,000, სულ 380,000. სერბია და ჩერნოგორია—მოკლულია 100,000, ავად. გარდაცვლილა—50,000 დაჭრილა 200,000, ტყვეთ—150,000, სულ 315,000. კანადა — მოკლულია 100,000, ავად. გარდაცვლილა 48,000, დაჭრილია 155,000, ტყვეთ—35,000, სულ 370,000. ახალი ზელანდია—მოკლულია 9,000, ავად. გარდაც. 4,000, დაჭრილ—41,400, ტყვეთ—45 კაცი. სულ 57,945. სულ მოკლულია 7,426000, ავადმყოფობით გარდაიცვალა 3,150,300, დაჭრილა 17,664,000, ტყვეთ ყოფილა 5,690,600. სულ 38,896,000.

გენერალ პერშინგის კანდიდატურა ამერიკის პრეზიდენტობისათვის:

ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ ყოფილი მთავარსარდალი ამერიკის ჯარებისა გენერალი პერშინგი წამოაყენებს თავის კანდიდატურას შეერთებულ შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში. (პ.)

ვილსონის აგიტაცია.

ვაშინგტონიდან იუწყებოდნენ, ვილსონის ავადმყოფობამდე, რომ იგი აპირობს შეერთებულ შტატების შემოვლას ხალხთა ლიგის სასარგებლო აგიტაციის მოსახდენათ. ვილსონს გაყვებიან უკიდურესი ოპოზიციის ლიდერები ბორი და ჯონსონი, რომლებიც პასუხს გასცემენ ვილსონს და შეეცდებიან დაუმტკიცონ საზოგადოებრივ წრეებს, რომ საჭიროა უარყოფილ იქნეს სტატუტი ხალხთა ლიგის. ოპოზიციას იმედი აქვს, რომ დაუმტკიცებენ საზოგადოებას ვილსონის მიერ იმ პოლიტიკის უარის ყოფას, რომელსაც გიორგი ვაშინგტონი აწარმოებდა. უკანასკნელი ყოველთვის აფრთხილებდა შტატებს კავშირი არ შეეკრათ სხვა სახელმწიფოებთან. (ა.)

ოსმალეთის საკითხი.

„ჟურნალ დე დებაში" დაბეჭდილია გოგენის წერილი ოსმალეთის საკითხის შესახებ. „თუ ჩვენ,—ამბობს ავტორი,—არ გვაქვს შეძლება სამხედრო ზეგავლენით ვაიძულოთ ოსმალები—ჩვენ სხვა ბევრი საშუალებები მოგვეპოვება, რომ მოვახდინოთ გავლენა ოსმალებზე. ოსმალები ისეთი ბეცი პოლიტიკოსები არ არიან, რომ არ ჰქონდეთ შეგნებული მოკავშირეებთან კავშირის საჭიროება. შესაძლებელია ოტომანიის იმპერიაში შეიქნას ისეთი მდგომარეობა, რომ ქრისტიან მცხოვ. ინტერესები დაცულ იქნას; გოგენი წინააღმდეგია ყოველგვარ მანდატის ოსმალეთის მიმართ. ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შესძლებს ოსმალეთის მართვა გამგეობასო.

სოციალისტურ ზავის ფონდი.

ბუენოს აირესში აგროვებენ ფულს „სოციალისტურ ზავის ფონდისათვის". განზრახულია ეს ფული მოხმარდეს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას. შეგროვილია 1,338,000 გირ. სტერლინგი.

მუშათა წერილები

საუბარი გლეხებთან.

II

მაგრამ, თქვენ არ იფიქროთ მარტო ჩვენში და რუსეთში ყოფილიყოს ბატონყმობა; არა, ბატონყმობას ყველგან ჰქონდა ადგილი. ევროპას, რომ ეძახიან, იმ განათლებულ ქვეყნებშიაც, წინეთ ბატონყმობა ახრჩობდა ხალხს. იქაც ასეთ ნაირათ დამონავებული ჰყავდათ გლეხკაცობა. მაგრამ იქ დიდი ხანია ცხოვრება ძირიან ფესვიანათ შეიცვალა.

საზღვარ-გარეთ ყველგან რევოლიუციები მოხდა, თუმცა სხვადასხვა დროს. მარა ერთი კი ცხადი იყო: ამ რევოლიუციებში უპირველეს ძალას ქალაქისა და სოფლის მშრომელი ხალხი შეად გენდა. მაგალითად,—საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს, გამარჯვებულმა ხალხმა მეფე სიკვდილით დასაჯა, თავად აზნაურობას მიწა მამული ჩამოართვა და თითონვე დაინაწილა დღეს საფრანგეთში ბატონყმობის ნაშთის ხსენებაც კი არ არსებობს; იქ დიდი ხანია დამყარდა სახალხო სახელმწიფო გამგეობა ე. ი. „რესპუბლიკა".

ჩვენში და რუსეთში ბატონყმობის წინააღმდეგ ფართო სახალხო აჯანყება არ მომხდარა, მაგრამ საერთო უკმაყოფილებას კი დიდი ადგილი ჰქონდა. აი ამ გარემოებამ შეაშფოთა რუსი ხელმწიფე ალექსანდრე მეორე, მან ადრე წარმოიდგინა ის საშიშროება, რაც საფრანგეთის მეფეს შეემთხვა და (ანამ თვით გლეხობა მოახდენდა რევოლიუციას, ადგა და 1861 წლის 19 თებერვალს გამოსცა მანიფესტი, რომლითაც გლეხკაცობა მხოლოდ სახლის შინაყმობისგან განთავისუფლდა. ამ ამბავმა, იმ დროს, რუსეთის გლეხკაცობაში დიდი სიხარული გამოიწვია; მეფე ალექსანდრე მეორეს ყველა მადლობითა და პატივისცემით იხსენიებდა, ამის გამო მასზედ მეტი სახელიც კი უწოდეს „მეფე განმათავისუფლებელი". მაგრამ ეხლა ჩვენ სინამდვილით გავსინჯოთ,—თუ ამ მანიფესტმა რა სარგებლობა მოუტანა გლეხკაცობას?

მეფის მიერ ზევიდან ბოძებულმა წყალობამ ოდნავათაც ვერ შეამსუბუქა გლეხკაცობის ცხოვრება, იგი მხოლოდ მებატონის შინა ყმობისაგან განთავისუფლდა, ეს იყო და ეს. გლეხს სხვა არავითარი შეღავათი არ მისცემია. რაც შეეხება მიწა მამულს, ის ისევ მებატონის უფლებაში დარჩა.

რაც გლეხებს სავარგისი მიწა გააჩნდათ, მებატონეებმა ჩამოუჭრეს და თავისთვის დაიტოვეს, მდარე მიწები კი გლეხებს მიუგდეს და ისიც ნაღდის ქვეშ; გლეხობა ვალდებული გახადეს, სანადელო მიწებიდან წლიურ მოსავლის ერთი მეოთხედი ნაბატონარისთვის სახლში მიერთმია. გლეხი კაცი და სამუშაო მიწა, ერთ ხომ თან შეზრდილი საარსებო საშუალება გახლავს: გლეხი უმიწოთ არ ვარგა და მიწა კი ისევ მუქთახორა მებატონეებს დარჩათ რის გამოც გლეხი იძულებული შეიქნ ისევ ძველი ბატონის წინაშე ქედი მოეხარა და მისი ყური მოჭრილი მონათ დარჩენილიყო. აი ასეთი უშინაარსო შეიქნა გლეხკაცობისათვის ალექსანდრე მეორის „მოწყალება". ეს მანიფესტი თვით მეფისა და თავად აზნაურობისათვის უფრო მეტი სასარგებლო გამოდგა, ვიდრე გლეხობისათვის; მათ, ნახევარ საუკუნეზედ მეტი დრო შეინარჩუნეს ძალა უფლება და მუქთა მიწების შემოსავლით, და გლეხების მიერ სანადელო მიწების გამოსასყიდ ფულებით ქეიფსა და გარყვნილებაში ატარეს თავიანთი ფუქსავატი ცხოვრება.

მაგრამ ნათქვამია: ყველაფერს თავის დასასრული აქვსო, და მართლაც დღეს მეფეებსა და მემამულეებს აღსასრულის დრო დაუდგათ; მათ ბატონობას ერთხელ და სამუდამოთ ბოლო ეღება: ხალხის რევოლიუციამ, უსამართლოთ მისაკუთრებული მიწები მათ ერთბაშათ ჩამოართვა და უმიწწყლო მშრომელ ხალხს გადასცა. მე მგონი, ამის შემდეგ თქვენ უფრო ნათელი წარმოდგენა გექნებათ, რას მოასწავებდა ბატონ ყმობის დრო, რა მდგომარეობაში იყო მაშინ გლეხობა და როგორის ფორმით გააუქმეს ის ჩვენში.

ეხლა საჭიროა გავითვალისწინოთ, ბატონ ყმობის დროს ხდებოდა თუ არა ომიანობა. მე თქვენ მოგახსენებთ, რომ ომი ყოველთვის სწარმოებდა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ის არის, ვინ იყო მიზეზი და დამწყები ხალხთა შორის შფოთისა და სისხლის ღვრისა. როგორც ზევით მოგახსენეთ, ბატონ ყმურ სახელმწიფოებში თავად აზნაურობა იყო გაბატონებული, მათ ხელში იყო მიწა მამული და სწორეთ ისინი იყვნენ დაინტერესებული ერთმანეთს დასცემოდნენ და ზედმეტი მიწა წყლით შემოეფარგლათ თავიანთი სახელმწიფო. მე მგონია, თქვენ ეხლა ისიც წარმოდგენილი გაქვთ, რომ გლეხკაცობას იმ დროს საკუთრების უფლება არ ჰქონდათ და მაშასადამე ცხადია, დაპყრობილ ადგილებიდანაც გლეხებს წილს არავინ მისცემდა. მაგრამ უსამართლობაც ეს იყო, რომ ყველა მაშინდელი ომები გლეხკაცობის სისხლითა და ოფლით სწარმოებდა, ლაშქარიც გლეხებიდან გაყავდათ, ხარჯსაც მას ახდევინებდნენ და დაპყრობილ მიწებს კი მეფე და მემამულე თავადები იყოფდნენ თავიანთ შორის. მაგრამ ეხლა ჩვენთვის მეტათ საჭიროა გავიცნოთ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ როგორი წყობილება დატრიალდა ჩვენს ქვეყანაში და რა პირობებში ჩავარდა საერთოდ სოფლისა და ქალაქის მშრომელი ხალხი.

პალარა მუშა.

(შემდეგი იქნება)

სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულოს სხდომაზე 7 ნოემბერს 1919 წლ. დილის 10 საათზე დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

1) საკასაციო საჩივარი თფილისის მიწადმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოსი. თფილისის სასამართლო პალატის 1917 წ. 14 ნოემბრის დადგენილ გადაწყვეტილებაზე ხალილ ალი სულეიმ ნ-ალი ოღლი და იუსუფ-ალი მამედ ალი ოღლი ქიმალოვების სა დასახელებულ სამმართველოსთან მამულის თაობაზე ძიების გამო.

2) საკასაციო საჩივარი ფოთის ქალაქის გამგეობისა თფილისის სასამართლო პალატის 1917 წ. მაისის 16 დადგენილ გადაწყვეტილებაზე მიხეილ კოხტას ძის გვიჩიას და ფოთის ქალაქის გამგეობის როგორც მესამე პირის მოჩივარის მხარეზედ მონაწილეობით. „ლ. და ა. სპრიოიაგას კავკასიის ტყის შემოზიდვის" ამხანაგობასთან 4600 მან. ძიების გამო.

3) საკასაციო საჩივარი მიხეილის სათავად აზნაურო საადგილ მამულო ბანკის ქუთაისისა, არშაკ მელქუმის ძის დანიელიანცის და მარიამ სტეფანეს ასულის მანველიანცისას თფილისის სასამართლო პალატის 1917 წ. დეკემბრის 5 დადგენილ გადაწყვეტილებაზედ გერასიმე ავეტის ძის გასპაროვის კასატორებთან მამულის საჯარო ვაჭრობით გაყიდვის და სხვა გაუქმების გამო.

4) საკასაციო საჩივარი მიხეილის სათავად აზნაურო საადგილ მამულო ბანკის ქუთაისში თფილისის სასამართლო პალატის 1917 წ. ნოემბრის 17 დადგენილ გადაწყვეტილებაზე იოსებ ათანასეს ძის ქიქოძის კასატორებთან მამულის საჯარო ვაჭრობით გაყიდვის გაუქმების და საკუთრების უფლების აღიარების ძიების გამო.

5) საკასაციო საჩივარი თფილისის სომეხ გრიგორიანთა საეპარქიო კონსისტორიისა თფილისის სასამართლო პალატის 1917 წ. ოქტომბრის 20 დადგენილ გადაწყვეტილებაზე ბორის მარკოვის ძის მაჩკოვსკის კასატორთან 6,985 მან. ძიების გამო.

პირველი ქართული ლატარიის გათამაშება

პირველი ქართული ლატარიის გათამაშება მოხდა 2 ნოემბერს სახელმწიფო თეატრში. დილის ათ საათიდან აურაცხელმა ხალხმა მოიყარა თავი სახელმწიფო თეატრთან; შესვლის უფლება ამ დღეს თეატრში ეძლეოდა იმათ, ვინც განსაზღვრულ ბილეთებს იმ დღეს იყიდდა. 12 საათზე თეატრის იარუსები და ქანდარა გაჭედილი იყო ხალხით, პარტერშიაც საკმაოთ იყო ხალხი. დილის 12 საათზე აიხადა ფარდა. საგანგებოთ გამზადებულ მაგიდასთან თავმჯდომარის ადგილი დაიკავა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა. მის გვერდით მოთავსდა განათლების მინისტრი ნ. რამიშვილი, მისი ამხანაგი ნ. ცინცაძე, მეორე მხრივ გ. ლასხიშვილი. გათამაშებაზე მოწვეულ იყვნენ დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის წარმომადგენელნი, დამფუძნებელ კრების წევრნი, ქალაქის თვითმართველობის, ერობის, ბანკების და პრესის წარმომადგენლები. რამპასთან დადგმული იყო სამი ურნა: ერთში იყო სერიის ნომრები, მეორეში ბილეთების ნომრები, მესამეში მოგებათა რაოდენობა სულ 2,393 ბილეთი, მოგების აღნუსხვით თავმჯდომარე ხსნის რა კრებას, აღნიშნავს ლატარიის მნიშვნელობას და კითხულობს ოქმს, სადაც აღნიშნულია ლატარიიდან შემოსულ ფულის დანიშნულება, და გათამაშების წესი. ბილეთების ამოღებამდე სახელმწიფო თეატრის ორკესტრმა კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით შეასრულა ჰიმნი, რომლის შემდეგაც საგანგებოთ ამ დღისთვის ჟურნალ „ნაკადულის" რედაქციიდან წარმოგზავნილმა ბავშვებმა დაიწყეს ურნიდან ბილეთების ამოღება. ბილეთებს ხსნიდა განათლების მინისტრი ნ. რამიშვილი. აცხადებდა ივ. ჯავახიშვილი. პირველათ ამოღებულ იქნა სერია 65, ბილეთის ნომერი 32—მოგება 100 მანეთი. სამ საათამდე ამოიღეს 200 ბილეთი. ამ ამოღებულ ბილეთში 25 ათასი მანეთიანი მოგება შეხვდა ბილეთს № 480 ს, 148 სერიისა.

ამხ. რ. ჩიხლაძის

გარდაცვალების ნახევარი წლის თავზე.

კვირას, 2 ნოემბერს, დილის 11 ს., კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე გადახდილ იქნა დაუღალავი პარტიული მუშაკის და სახალხო ტრიბუნის ამხ. რ. ჩიხლაძის გარდაცვალების ნახევარი წლის სამოქალაქო პანაშვიდი. პანაშვიდს დაესწრო თფილისის მუშების მოწინავე ნაწილი, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელნი და პატივისმცემელი საზოგადოება. პანაშვიდი გაიხსნა 12 საათზე. ს. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტის სახელით ამხ. ბ. ჩხიკვიშვილმა თავის სიტყვაში მოკლეთ დახასიათა ამხანაგ რაფიელის ვინაობა, მისი ღვაწლი ჩვენი ხალხის წინაშე და მისი მნიშვნელობა ჩვენი პარტიისთვის. მისი სიტყვის შემდეგ ჩვენი პარტიის მეოთხე რაიონის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. ს. ვადაჭკორია, რომელიც აღნიშნავს მის დაუღალავ და უანგარო მუშაობას მეოთხე რაიონში და იმ მწვავე დანაკლისს, რომელსაც გრძნობს რაიონი. ამით სამოქალაქო პანაშვიდი თავდება. პანაშვიდზე უკრავდა თფილისის მილიციის სამხედრო მუსიკა. —ი.

სახელმწ. უნივერსიტეტი

ოთხშაბათს, საღამოს 4 საათზე, სახელმწ. უნივერსიტეტის მეორე აუდიტორიაში დანიშნულია პირველი გალობა სახ. უნივ. სტუდენტ მსმენელთა მომღერალთა გუნდისა დრამატიული წრის მიერ გუნდის ხელმძღვანელათ მოწვეულია სტუდენტი შალვა ბოჭორიშვილი.

დრამატიული წრე ავლებს ყველა თავის წევრთ, ჩაწერილთ გუნდში სამუშაოთ და აგრეთვე სხვა მსურველ სტუდენტებსაც უთუოდ მიზეზს გარეშე დანიშნულ ვადაზე გამოცხადდენ.

ხუთშაბათს, დილის 11 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-2 აუდიტორიაში დანიშნულია სტუდენტ მსმენელთა დრამატიული წრის ყოველგვარ ძალთა გამოცდები. გამოცდის დრამატ. წრის ხელმძღვანელი სახელმწ. თეატრის კომისარი ალ. წუწუნავა. დრამატიული წრის გამგეობა ავლებს თავის წევრებს: მსახიობებს, მომღერლებს, მოცეკვავეებს, მუსიკოსებს, მგოსნებს და მხატვრებს აუცილებლად გამოცხადდენ დანიშნულ დროზე.

კვირას, 2 ნოემბერს, შესდგა სახელ. უნივ. სტუდ. მსმენელთა კოოპერატივის წევრთა საზოგადო კრება. წესდება და მტკიცებულ იქნა და გამგეობის არჩევნები გადაიდო მეორე კვირისთვის.

კოოპერ. „ალორძინების" წევრთა საყურადღებოთ

გუშინ, სამ ნოემბერს, დაიწყო კოოპერატივ „ალორძინების" წევრთა რწმუნებულების არჩევა, რომლებიც აირჩევენ გამგეობას. საერთოდ კოოპერატივებს, და კერძოთ „ალორძინებას" მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ პირობებში. განსაკუთრებით დღეს, როცა „ალორძინებამ", როგორც მუშათა კოოპერატივმა სხვათა შორის ხელმძღვანელი როლი უნდა ითამაშოს მუშა მოსამსახურეებისათვის სურსათ სანოვაგის მოწესრიგებაში, რომლისათვის დამფ. კრებამ ამ დღეებში 50 მილ. გადასდო. არჩევნებში უკვე დაიწყო და მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ჯგუფი. საკუთარი სიით გამოდის ჩვენი სოც. დემ. ჯგუფი. მისი სია უნომროა—წარწერით: ს. ს. დ. მუშ. პარტია. აყენებს სხვადასხვა უბანში სხვადასხვა კანდიდატებს. ამხანაგების მოვალეობაა ხელი შეუწყონ ამ სიის გამარჯვებას. უნდა შედგეს ენერგიული და [illegible] ლის შედგენა [illegible] ნებულებზე [illegible] ოპერატივის ამხანაგთა [illegible] მონაწილეობა უნდა მიიღონ და შესაფერი რწმუნებულების არჩევით შესაფერი გამგეობა აირჩიონ. უნდა გამოცხადდეს ყველა წევრი, არ დააკლდეს არც ერთი.

წევრი.

მიწის საკითხის გარშემო ოკრიბაში

ამას წინათ მე მოვათავსე გაზეთ „ერთობა"-ში, № 139, წერილი მიწის საკითხის ნიადაგზე გამწვავების შესახებ ოკრიბაში, სადაც ვრცლათ იყო მიწათმფლობელობის სიხლართე და გლეხების უმწეო მდგომარეობა ამ მხარეში. აგრეთვე უთითებდი მიწის რეფორმის თვალყურის მადევნებელთ აგენტების მოქმედებაზე აქ, რაც იწვევს გლეხების აღელვებას. ამ ნიადაგზე აღელვებულ გლეხობას მთლათ ოკრიბისა აერჩიათ ოთხი დელეგატი და გამოეგზავნათ როგორც შუამავალნი მთავრობაში მიწის საკითხის მოსაგვარებლათ. იყო მოლაპარაკება მთავრობაში და ზოგიერთ დამფუძნებელ კრების წევრებთანაც, რომლებმაც მათ აღუთქვეს დახმარება. მიუხედავათ ამისა, ამ საქმეს ყურადღება არ მიექცა და ადგილობრივი აგენტები თავისებურათ განაგრძობენ გლეხების აღელვებას და მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებენ. ასეთები ხდება ქუთაისშიაც. მოგეხსენებათ, რომ ქუთაისი წარმოების მხრივ უბრალო პროვინციას წარმოადგენს. მას აწყდებოდა სოფლებიდან ღარიბ-ღატაკი გლეხობა, რომლებიც ან სამოქალაქო მცირე ნაჭრებზე, ან კერძოთ შეძენილ პატარა ადგილებზე ესახლებოდნენ, და რადგან ქალაქში სამუშაოს ვერ შოულობდნენ, სწმენდენ სახელმწიფო ან საეკლესიო ჩიგვნარებს ქალაქის მახლობელ ადგილებში და იქ იჩენდენ საყანეებს და ამ ნაირათ სანახევროთ ირჩენდენ თავს გლეხური მუშაობით. გარდა ამისა ამუშავებდენ თვალჭრელიძის მამულს წყალ წითელაზე იჯარით. ამ ადგილებს სხვა სოფლები არ ემხრობოდა და ამიტომ სოფლები მათ არ ეტანებოდენ. არიან ძალიან ბევრი ამ ქალაქის განაპირა მოსახლე გლეხები, რომლებიც ამ ადგილებს ამუშავებდენ და ფლობენ რამოდენიმე ათეული წლობით. ეხლა კი ამათთვის გამოუცხადებიათ ამ ადგილებიდან ხელი აიღეთო, რაც არ შეიძლება შედიოდეს მთავრობის პოლიტიკაში. ეს კი იწვევს საშინელ აღელვებას. ცუდათ არის დაყენებული ტყით სარგებლობის საქმეც. თითქმის ყველგან, რადგან ადგილობრივ ამის ადმინისტრაცია ყოვლათ უვარგისი აღმოჩნდა, ამ ნიადაგზე ნადგურდება სახელმწიფო ტყეები.

საქმე შემდეგშია: ტყის მცველს აქვს უფლება მიყიდოს ბილეთი გლეხს ტყის მასალის ან შეშის მოსაჭრელათ. ის ამას აძლევს უსისტემოთ, რამდენსაც მოისურვებს და რა თქმა უნდა მეტ შემთხვევაში სოფლის „კულაკებს". ამ რიგათ ამზადებენ მასალას და შეშას უფრო გასაყიდათ, ვიდრე თავის საჭიროებისათვის. ამას კი უეჭველად ესაჭიროება კანტროლი, რასაც გასწევდა ერობების ერთეულები, რომლის შემოწმებით (რომ გლეხს თავისთვის სჭირია) ტყის მცველი მისცემდა ბილეთებს, და არა ისე, როგორც ეს მას მოეპრიანება. ყველა ზემოხსენებული არის არა ნორმალური პირობების გამო გამოწვეული და რადგან მიწათ-მოქმედების სამინისტროს, დატვირთულს ათასნაირ საქმეებით, ამ ქაოტიურ ხანაში, ამ საქმის მოგვარება გაძნელებია, მე ვბედავ და ვითხოვ, ამ უწყებას აღმოეჩინოს ყოველ ნაირი დახმარება მითითების სახით, დამფუძნებელი კრების სოც. დემოკ. ფრაქციისაგან.

ქუთაისის გლეხებში იყვნენ მიწადმოქმედების მინისტრთან გასულ თვის ბოლო რიცხვებში საჭირო საბუთებით, რა საბუთებიც მოწმობენ, რომ ქუთაისის ერობას შეუქმნია სამიწო კომისია, რომლისათვისაც დაუვალებია წყალ-წითელას პირზე მდებარე სახელმწიფო ჩირგვნარიან და ხრიოკ ადგილების, სახელდობრ „კოხი", სივრცით 700 ქცევა და ყოფილ მემამულე თვალჭრელიძის 100 ქცევა მიწების, ქუთაისის ღატაკ-უმიწაწყლო გლეხებისთვის დარიგება, რაც შარშან კიდეც მოუყვანიათ სისრულეში. ეს ადგილები გლეხებს გაუწმენდიათ და დაუთესიათ, რაც თითოს დაჯდომია, თავის მუშაობის გარდა, ათას მანეთამდის, მოსავალი კი წელს არა მოსვლიათ რა. მინისტრი შევიდა გლეხების მდგომარეობაში და მათ შეპირდა, რომ იგი მისწერს ქუთაისის ერობას გლეხების თხოვნა დააკმაყოფილონ და მიწები იჯარით დაუტოვონ. იმედია, ქუთაისის ერობა ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს და მით ბოლოს მოუღებს ამ ნიადაგზე გლეხების უბრალო მღელვარებას.

ლავრენტი კუპრაშვილი

უსაფუძვლო ხარჯები სოფლად

დიდმა რევოლუციამ საქართველოში მოსპო ძველი რეჟიმის ნაშთები. ძალაუფლება გადავიდა თვით ხალხის ხელში. დადგა ახალი ხანა, ახალი ცხოვრება; მაგრამ სამწუხაროდ, ხალხის შეუგნებელი ნაწილი ჯერ ჯერობით ხელს უწყობს ძველი რეჟიმის კერპთ თაყვანურ და დახავსებულ ჩვეულებებს, რომლის წყალობით ხალხიც და სახელმწიფოც დიდ განსაცდელში ვარდება.

ასეთი კერპთ თაყვანური ჩვეულებანი კი სოფლად არის: ქელეხები, ურადები, დღეობები და სხ. ამ უკანასკნელებზე სოფლის ხალხი ათასობით და ათი ათასობით ხარჯავს, უმთავრესათ კი ოსის ხალხი; მხოლოდ სახელმწიფო ხარჯებს და სწავლა განათლების საქმეს კი უკანა სტოვებენ, არაფრად აგდებენ. დღეს საქართველოს ყველა კუთხეებში მოეწყო სათემო ერობები, რომლებმაც უნდა ხელი შეუწყონ, ხალხის საკეთილდღეო საქმეებს და ებრძოლონ ყოველივე შეუგნებლობას, ე. ი. მოსპონ ასეთი დახავსებული და დამღუპველი ჩვეულებანი, რომელიც უნდა მოხდეს შემდეგნაირად:

1) ქელეხი—მიცვალებულის დამარხვის შემდეგ მის სახლში ჭირისუფლების გარდა არავინ არ უნდა რჩებოდეს პურის საჭმელად.

2) მიცვალებულის მეზობლებმა ყოველივე ზომები უნდა მიიღონ, რომ რაც შეიძლება ნაკლები ხარჯი გასწიოს მიცვალებულის პატრონმა.

3) ეს ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს: ერთ ცხვარს, ოთხ თუნგ ღვინოს ან არაყს და ერთ ფუთ პურს.

4) თუ რომელიმე მიცვალებულის ჭირის-უფალებმა მოინდომეს რაიმე ხარჯის აუცილებლათ გაწევა თავიანთი მიცვალებულის სასახელოდ ან სამახსოვროდ, მაშინ ასეთი ხარჯის სადირალი იქმნას შემოწირული რომელიმე სასოფლო ან საზოგადო დაწესებულების სასარგებლოდ, როგორიც არის მაგ. სკოლა, ერობა და სხვა.

5) ურადი*), უნდა აიკრძალოს ყოველივე სხვილ ფეხ საქონლის სახით, ქალ-ვაჟის დაჭორწინება და გაბედნიერება უნდა ხდებოდეს მათივე ნება-სურვილით.

6) დღეობები;—აიკრძალოს ყოველივე თავის მოყრა სალოცავებთან სოფლად და მაგარი სასმელების გავრცელება, რომლითაც ხალხი ითვრება და მერე დაერევიან ხოლმე ერთმანეთს, სადაც ხანდისხან ხდება მკვლელობა და ათას ნაირი უბედურობაც.

7) ასეთ დადგენილების ცხოვრებაში გატარებლად, ყველა სოფლების მოწინავე ელემენტებმა და სათემო ერობის ხმოსნება ენერგიული ზომები უნდა მიიღონ შეთანხმებით ადმინისტრაციასთან.

აი ასეთი დადგენილება თუ გატარდა ცხოვრებაში, მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ სოფლის ხალხსაც და სახელმწიფოსაც ყოველი მხრიდან ეშველება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სოფლის ხალხს უფრო სიღატაკეობა მოელის მხოლოდ ამისი ცხოვრებაში გატარებას კი შესძლებენ სათემო ერობები.

ან. ბიბილოვი.

ს.-დ. პარტიაში

ქ. ახალ-სენაკი. 27 ოქტომბერს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. სენაკის სამაზრო კომიტეტის მორიგი სხდომა. გარჩეულ იქნა სამაზრო პარტიული ყრილობის მოწვევის საკითხი და მიმდინარე კითხვები, რომლის დროს გადაწყდა: ვინაიდან მთელს მაზრაში ორგანიზაციები განახლებულია, პარტიული ყრილობა მოწვეულ იქნას ამა წლის 20 ნოემბერს და ამისათვის გაეგზავნოს ყველა სარაიონო და საზოგადო კოლექტივებს საამისო მოწერილობანი წარმომადგენლების ასარჩევად, ყრილობის დასასწრებლად, რომელიც უკვე შესრულებულია. არჩევნების წესი შემუშავებული იქნა შემდეგნაირად: 50 პარტიის წევრი გზავნის ერთს წარმომადგენელს, 50—100-ლე—ორს, 100 მეტი—სამს, აგრეთვე შემუშავდა დღიური წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი, 2) მოხსენება კომიტეტის მუშაობის შესახებ, 3) მოხსენება ადგილებიდან, 4) მოხსენება სხვადასხვა დაწესებულებებიდან, 5) ანგარიშის განხილვა და დამტკიცება, 6) ორგანიზაციული კითხვები, 7) მიმდინარე კითხვები, 8) კომიტეტის არჩევნები. სხვათაშორის დადგენილ იქნა, ცენტრალური კომიტეტიდან მოწვეულ იქნას წარმომადგენელი პირველ კითხვის მოხსენების გასაკეთებლად და შემუშავდეს სახელმძღვანელო ინსტრუქცია, რომლის შედგენა დაევალა ამხ. ანდრო ანჯაფარიძეს.

მდივანი.

კახეთის რკინის გზის სამმართველო. 27 ოქტომბერს, 1919 წ. კახეთის რკინის სამმართველოში მოხდა მეხუთე რაიონის სამმართველოს ს. დ. მ. პარტიის წევრთა საერთო კრება. კრებას ხსნის სამმართველოს ქვე კოლექტივის თავმჯდომარე ამხ. ს. ჯინჭველაშვილი, რომელიც უპირველესად ყოვლისა აცნობს ამხანაგებს ქვე კოლექტივის მუშაობას, რითაც ამხანაგები დაკმაყოფილდნ. შემდეგ ამხ. ჯინჭველაშვილი, როგორც წევრი ს. ს. დ. მ. პარტიის თფილისის კომიტეტისა, აკეთებს მოხსენებას კომიტეტის მუშაობის შესახებ და ოქტომბრის ბოლო რიცხვებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საზღვრებში ანარქიული გამოსვლების შესახებ, რის შემდეგაც კრებას გამოაქვს შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება ამხანაგ ჯინჭველაშვილისა საქართველოს რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში ავანტიურისტთა ანარქიულ გამოსვლების შესახებ, მოვითხოვთ მიღებულ იქნას მეამბოხეთა წინააღმდეგ სასტიკი ზომები. თავმჯდომარის მიერ იქნა აგრეთვე წაკითხული და გარჩეული ს. ს. დ. მ. პარტიის ბელადის ამხ. ნ. ჟორდანიას მოხსენება სახალხო გვარდიის დელეგატთა ყრილობაზე, რითაც ამხანაგები დიდათ ნასიამოვნები დარჩნენ. დაბოლოს მოხდა დამატებითი არჩევნები სამმართველოს ს. დ. მ. პ. ქვე-კოლექტივის ორი წევრისა. არჩეულ იქნენ ვლასი ბოხოხაძე და ნიკიფორე შეყრილაძე.

მდივანი ალ ტაბატაძე.

მუშათა შორის

თფილისი. 31 ოქტომბერს შესდგა საქონელთ-მზიდველთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის მორიგი სხდომა. დღიურ წესრიგში დასმულ შვიდი კითხვისაგან გაირჩა ოთხი, დანარჩენები სიგვიანისა გამო გადაიდო შემდეგ სხდომისთვის. პირველ კითხვის შესახებ, რომელიც შეეხებოდა ვაგზლის ბირჟის ჯამაგირიან მომწესრიგებლებს, დადგენილ იქმნა: მოხსნილ იქნას ვაგზლის ბირჟიდან ორივე ჯამაგირიანი მომწესრიგებლები და წესრიგის და დისციპლინის დაცვა დაევალოს თვით ბირჟის წევრებს შემდეგნაირათ: შემოღებულ იქმნას მორიგეობა. ყოველ დღე იმორიგეოს ხუთმა წევრმა პირველი რიგიდან, რომელთაც ევალებათ თვალ-ყური ადევნონ წეს-რიგს და სასტიკათ დაიცვან ბირჟაზე დისციპლინა. მეორე კითხვის შესახებ, რომელიც შეეხებოდა საბარგო სადგურის ზედამხედველს, კრება ავალებს გამგეობის პრეზიდიუმს გამოარკვიოს, თუ ვისი განკარგულებით არ უშვებს სადგურის ზედამხედველი შეშის ეზოში კავშირის წევრებ-მეფურგუნეებს და რა უფლებით ან მოსაზრებით ხელმძღვანელობს არსებულ შემთხვევაში ხსენებული ზედამხედველი. მესამე კითხვის შესახებ დაევალა პრეზიდიუმს იშუამდგომლოს სადაც ჯერ-არს, რომ მალაკანის ქუჩაზე გატარებულ იქნას დროგები, ვინაიდან წევრებს უხდებათ შორიდან მოვლა, რაც დიდ ზიანს აყენებს წევრებს ზედ-მეტი დროს დაკარგვით და დროგების ბორბლების გაფუჭებით. მეოთხე კითხვის შესახებ, რომელიც შეეხებოდა ფოსტის უწყების წარმომადგენლის მომართვას გამგეობისადმი რამოდენიმე ვაგონი შეშის გადაზიდვაზე ქალაქის სხვადასხვა რაიონებში, დადგენილ იქნა: დაევალოს პრეზიდიუმს ყოველივე დახმარება აღმოუჩინოს წარმომადგენელს, რათა წესიერათ და შესაძლებელი თუ იქნება ნიხრზე დაკლებულ ფასებშიაც იქმნეს გადაზიდული ფოსტის უწყებისათვის, როგორც სახელმწიფო დაწესებულება, შემ. სიგვიანისა გამო კრება იხურება და სხვა კითხვები გადადებულ იქნა შემდეგი სხდომისთვის.

დიომიდე ქუჩულორია.

პროვინცია

ხუნევი. მიმდინარე წლის 4 ოქტომბრის „ერთობა“-ში მოთავსებული იყო წერილი ხუნევის საზ. „ჩხრიალათელელის“ ფსევდონიმით. წერილის ავტორი სხვათა შორის ეხება ამაშუკეთის ახლად გახსნილ საავათმყოფოს და ბრალსა სდებს ამაშუკეთის ინტელიგენციას, სახელდობრ მასწავლებლებს საავათმყოფოს ძალით მითვისებაში და სკოლის შენობის დროებით საავათმყოფოსთვის დათმობაში. ბ ნო „ჩხრიალათელელო!“ მართალი უნდა მოგახსენოთ, ჩვენ ამაშუკეთის სკოლის მასწავლებლები თქვენი წერილის წაკითხვის შემდეგ დიდათ ნასიამოვნები დავრჩით. ნასიამოვნები დავრჩით მით კი არა, რომ ჩვენ, როგორც თქვენ ბრძანებთ, დაგვიჩაგრავს ხუნევის საზ. საავათმყოფოს წართმევით და სკოლიდან 84 მოწაფე სახლში გაგვიშვია, არამედ მით, რომ ალბათ სხვა ვერაფერი ცუდი გიპოვიათ ჩვენში, თორემ ისე შეუბრალებლათ გაგვასამართლებდით, როგორც ექიმ ბეჟუაშვილს და ფერშალ ორჯონიკიძეს, ვინაიდან ექიმი ბეჟუაშვილი და ფერშალი ორჯონიკიძე ცნობილი არიან ხალხში, როგორც პატიოსანი და მშრომელი ადამიანები. ხოლო უცენზობა, თუ მართალია, და მასწავლებლობა, კაცს ვერ გალანძღავს, მით უმეტეს მეოცე საუკუნეში. რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ ჩვენზე წამოყენებულ ბრალდებას, უნდა ჩაითვალოს გაჭარბულებულათ ქვემოთ აღნიშნულ სინამდვილის გამო. სინამდვილე კი ასე გახლდათ: წარსულ წელს, როცა ჩვენში სამაზრო ერობები კიდევ არ იყო შემოღებული, სამინისტრომ დაადგინა ამაშუკეთის საფერშლო უბანი, რომელიც იმყოფება ს. ბორითში, გადაეკეთებია საავათმყოფოთ.

თქვენ ამის შესახებ შემდეგში აძლარით საჩივარი სამაზრო ერობის წინაშე და ითხოვეთ, რომ საავათმყოფო გადატანილიყო ხუნევის საზოგადოებაში, რის შემდეგაც მოვიდა ორი კომისია ადგილის ასარჩევათ, ჯერ პირველი—ბ.ბ. ბუაჩიძე და მუჯირი, მერე მეორე—ერობის თავმჯდომარე ბ. ბუაჩიძე და მისი თანაშემწე ბ. მენაღრიშვილი. შემდეგ ამ კომისიებისა ერობამ მოწერილობა გამოგზავნა, რომ საავათმყოფოსათვის სახლი აგვეგო ს. ბორითში და რადგანაც ჩვენ ს. ბორითს ვცნობდით ცენტრათ ორივე საზოგადოებისათვის და შესაფერ ადგილათაც მოხსენებულ დაწესებულებისათვის, ამიტომ შევუდექით სახლის შენებას ს. ბორითში. მართალია, ჩვენ მოწაფეები დავითხოვეთ საზაფხულოთ 5—7 დღით ადრე და სასწავლებლის შენობაში საავათმყოფო მოვათავსეთ, მაგრამ ეს ჩავიდინეთ ჩვენ მხოლოთ მაშინ, როცა 100 მოწაფეში და 4 მასწავლებელში 1 მასწავლებელი და 50—60 მოწაფე ავათ გახდა შავი სახადით. ყველა ზემო ჩამოთვლილ შემთხვევაში, ნუ თუ თქვენც ისე არ მოიქცეოდით, როგორც ჩვენ? დღეს გარემოება შეიცვალა, როგორც გავიგეთ ამ საკითხის გადაწყეტას ერობა აძლევს ხელახლა ხუნევ ამაშუკეთის საზ. შეერთებულ წვრილ ერთეულების ხმოსნებს. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ კი დაგვეკარგება ყოველივე იმედი საქმის დაბოლოებისა, რადგანაც ორჯერ დადგენილი საქმე თუ კიდევ დაირღვა, შეიძლება ხელ-ახლა დაირღვეს და ასე ბოლო არ მიეცეს.

ამაშუკეთის სკოლის მასწავლებლები: **აკ: ამაშუკელი, გ ბარბაქაძე და ხერგო ჯაფარიძე.**

გორის მაზრა. გორის სამაზრო ერობამ უკვე აამუშავა გორის ხე-ტყის ქარხანა, რომელიც დღემდის შეჩერებული იყო. ამ ქარხნის წარმოება ერთგვარ წყაროს მისცემს სამაზრო ერობას.

გორის სამაზრო ერობასთან ახლო მომავალში მოეწყობა სტატისტიკური განყოფილება და მაზრის ყველა კუთხეში იქნებიან ამ საქმისათვის საჭირო კორესპონდენტები. ამასთანავე გამოთხოვილია ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტისაგან 1917 წლის აღწერის მთელი მასალა.

გორის სამაზრო ერობის საბიუჯეტო განყოფილებამ უკვე გაწერა გადასახადი სანიტარული, სატრაქტირო და სხ. ამასთანავე გამზადა ყველა ცნობები ორი პროც. გადასახადისა, ძველი ნედოიმკების და აგრეთვე უძრავ ქონებაზე ქალაქებში. დაამზადა საჭირო მასალა საფუთო გადასახადების შემოსაღებათ მთელი გორის ფარგლებში.

გორის სამაზრო ერობის ტეხნიკური განყოფილება სასწრაფოთ შეუდგა გორის—ცხინვალის გზის შესაკეთებლად წყაროს გამონახვას.

გორის სამაზრო ერობას განზრახვა აქვს სასმელი წყალსადენები გაიყვანოს და ამით დააკმაყოფილოს ყოველი სოფელი.

კასპსა და ქვემო-ჭალას შორის, ქვემო-ჭალის სათემო ერობამ, მოაწყო ეტლით მიმოსვლა.

სადგურ კასპიდან ქვემო-ჭალამდე უკვე დამთავრდა ტელეფონ ტელეგრაფის გაყვანა, აგრეთვე ფოსტაც ამ დღეებში დაიწყებს მოქმედებას.

სოფ. ქვემო ჭალაში მოეწყო ბაზრობა კვირაობით, სადაც აუარებელი ხალხი მოდის ახლო მახლო სოფლებიდან სავაჭროთ.

ი. ქუტირელი.

ს. ხვირი (ქუთ. მაზრა). სოფ. სვირის საზოგადოება უხსოვარი დროიდან სარგებლობდა მემაულე ბაგრატიონის საყანე და საბალახოთი, ეგრეთ წოდებულ „ყიფიანის-სალა“-თი ეს ზემოაღნიშნული ადგილი მდებარეობს სვირის ახლოს და შედის შორაპნის მაზრაში ეგრეთ წოდებულ „ზ ახოულას“ საყანეში. თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ ეს ადგილი გადავიდა სამიწათ მოქმედო სარევოლიუციო აგრარულ კომიტეტის ხელში და კომიტეტმა კი, რასაკვირველია, დაურიგა ღარიბებს და უმიწაწყლო გლეხებს სვირის საზოგადოებისას. გასულ წელს ერთმა ჯგუფმა სვირელმა გლეხებმა გვარათ გიორგაძეებმა იუსტინე გიორგაძის მეთაურობით, მოინდომეს ამ ზემოაღნიშნული საყანე და საბალახო „ყიფიანის-სილის“ ძალათ დაპატრონება. ვითომდა აქამდე ამ 200 წლის იქით რაღაც დახავსებული „საბუთი“ს წყალობით „ყიფიანის სილა“ მათ ეკუთნოდა, და ამ „საბუთის“ წყალობით ყანების ფაქტიურ მომუშავეებს ნახევარი მოსთხოვეს (ჭირნახული). ყანების მეპატრონეებმა ისინი (გიორგაძეები) ახლოსაც არ გაიკარეს, რაზედაც გიორგაძეებმა ასტეხეს ჩხუბი და რასაც მოყვა სისხლის ღვრა და თავპირის მტვრევა ორივე მხარეზე. შორაპნის მაზრის ადმინისტრაციამ დამნაშავე გიორგაძეები ციხეში ჩასვა და ადგილები კი, თანახმათ მიწ. მოქ. მინისტრის და შორაპნის აგრარულ კომიტ. განკარგულებისა, ისევ მათ დაუტოვა ვინც მას პატრონობდა და მუშაობდა. გიორგაძეები კი გაძევებულ იქნენ ადგილიდან. ეხლა, როგორც ხალხში ამბობენ, აღნიშნული გიორგაძეები „ვექილობით“ ამ „ყიფიანის სილას“ „კანონიერი გზით“ იბარებენო. ის ხალხი კი ვინც დღეს ამ ზემოდასახელებულ ადგილებში სდგას და სარგებლობს თანახმათ აგრარული კომისიის განკარგულებისა, მათ მიუზომა და მიაკუთვნა ადგილი. დღეს კი, ამ ხმებით ძალზე აღელვებულნი არიან და რომ მართლაც საყანე და საბალახო „ყიფიანის-სილა“ გადაეცეს აღნიშნულ გიორგაძეებს, რომლების უმრავლესობა, გარდა ერთისა, სახელდობრ რომანოზისა, რომელსაც აგრარულმა კომისიამ მიანიჭა ადგილი, როგორც ღარიბებს და რომ ახლა ფაქტიური მეპატრონეები გამოიდევნონ საყანიდან, რასაკვირველია, ამას მოყვება ისევ ერთი უბედურება და სისხლის ღვრა. ამისათვის, მე მგონია ბ. მიწ. მოქ. მინისტრი ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას და თუ ეს მართალია, საქმეს შეაჩერებს და სვირის აგრარული კომისიის საშუალებით საქმეს მოაგვარებს უსისხლოთ და უჩხუბრათ.

-დაინტერესებული.

კაცხი (შორაპნის მაზრა). 17 ოქტომბერს მოხდა კაცხის თემის ხმოსანთა არჩევნები.

მიუხედავათ ეროვნულ დემოკრატების პროვოკაციისა და დაბალი ხარისხის დემაგოგიისა, არჩევნებმა შემდეგი შედეგი მოგვცა: ს. ს. დ. მ. პ. საკანდიდატო სიამ თერთმეტი კაცი გაიყვანა ოც ხმოსანში, ეროვნულ დემოკრატებმა შვიდი, ხოლო სოც. რევოლიუციონერებმა ორი. საერობო და სახელმწიფო გადასახადების აკრეფა, სკოლისათვის ხალხის მიერ დახმარება, იარაღის აკრეფა, დეზერტირების დაჭერა და სხვა ზომები მთავრობის მიერ მიღებული და მშვიდობიანობისათვის უმთავრესათ სიძვირე, მკვეთრი იარაღი იყო მათ ხელში მოწინააღმდეგის დასამარცხებლათ, მაგრამ ყველა საშუალებები უშედეგოთ დარჩა, გამარჯვება ჩვენ გვხვდა წილად.

ნაცნობი.

წერ. რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემდეგი: ელენე სოლომონის ასულ ბილანიშვილის გიმნაზიასთან არსებული მშობელთა კრება დიდ მადლობას უხდის ტრამვაის პარკის სცენის მოყვარეებს, რომლებმაც წარმოდგენა დადგეს ამ გიმნაზიის ღარიბეს მოსწავლეთა სასარგებლოთ.

---

*) ურადი იციან ოსეთში, სადაც ვაჟმა უნდა მიუყვანოს ქალის პატრონს ხარები, ძროხები და სხვა.

განცხადებანი

იყიდება

ქართული ისტორიული სურათი რომელიც გამოსახავს სად. ანანურს (ვლადიკავკასის გზა) ძველი XV საუკ. საყდრებით წმ. ხითობელისა. სურათი დახატულია ფრანგი მხატვრის პასკალის მიერ 1881 წელს ზომით 2 სამი მეოთხედი × 1 სამი მეოთხედი ადლი, მთლიან ჩარჩოში. ნახვა შეიძლება მაღაზია „პალასში“ პლეხანოვის ქ. № 125. (2873—1—1)

დავკარგე ს. ს. დ. მ. პ. კნიშკა მოცემული მეხუთე რაიონიდან № 153 ილიკო კორტავას ძე ხვედელიანმა სად. წნორის წყლის და გურჯაანს შუა მოგზაურობის დროს. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (2886—1—1)

ყმაწვილი, გიორგი ივანეს ძე ბუზალაძე 2 ნოემბერს სადღაც წავიდა სახლიდან და აღარ დაბრუნებულა. ყმაწვილი არის 6 წლის, ტანთ აცვია ლურჯი ხალათი და შარვალი, ფეხზე ჩუსტები, თავზე ხურავს გრძელ ბეწვიანი წაბლის ფერი ქუდი. თუ ვინმემ რამე იცის, ამ ყმაწვილის შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი ადრესით: ხასეინი ქ. № 30, ივანე ბუზალაძეს. 2884—1—1)

იყიდება სახლი

ნაძალადევში „რაბოჩი პერეულოკ“ № 505 პირობების გაგება შეიძლება მინკვიცის ქუჩაზე № 22. მყიდველს ვსთხოვთ ჯერ სახლი ნახოს და შემდეგ მობრძანდეს (2871—1—1)

გრიგოლ ირაკლის ძე ჭუმბაძემ დავკარგე ამა წლის ათ ოქტომბერს განთავისუფლების მოწმობა № 2020 მოცემული რკინის გზათა მოდარაჯე ათასეულის უფროსისგან და ვსთვლი გაუქმებულათ. (2879—1—1)

რვეულები

იყიდება ბითუმათ, საყდო ბრუკისა. კრუზენშტეინის ქ. № 3. (2829—3—3)

ექიმი **ნიკოლოზ ჩახვაშაძე**
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11 (ზემელის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **[illegible]**
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა Xს სხივებით, დიდი სალენოიდი და არსენვალი, ტუკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.
შინაგანი სნეულებიანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. მე-2-ე სახლი ანდრეევის (№ 74, ბინა № 1) და ვაგზლის ქუჩების კუთხიდან. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ბორჯომში მოგზაურობის დროს 1-ლ ოქტომბერს დავკარგე სამუდამო პასპორტი მოცემული 1910 წ. ქუთაისის მაზრის გომის საზოგადოების კანცელარიიდან იუსტინე მალაქიას ძე ალფაიძის სახელზე, რასაც ვაცხადებ გაუქმებულად. (2853—1—1)

ექიმი **არუთინოვი.**
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება. შინაგან სნ. ავათმყოფების დილის 9 ნახ.—11 ნახ. საათ. ვენერიულის (სიფილისი, ტრიპერი და მათი შედეგები) კაცების საღამოს 5—6 საათ. ქალების საღ. 6—7 საათ. „914“ „606“ შეშხაპუნება. მიხეილის პროსპ. № 80 ბინა (თ. 2816)

ოზურგეთში
ექიმი **ს. ვ. აბაშიძე**
მიიღებს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ჭლექის ექიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაციდით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით.

ექიმი **ივ. ბოკერია**
იღებს ქირურგიულ, ქალთა სნეულების და საკუშერო ავადმყოფებს ყოველ დღე ვაგზლის სამკურნალოში 12—1 ს. ვაგზლის ქუჩაზე, შიხინოვის აფთიაქის გვერდით, სახლი 8, ტელეფონი 6—95. (თ. 2744)

ექიმი **დ. ი. [illegible]**
ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 18—65.

ექიმი **ა. ლევინსტეინი**
შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით ექიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და [illegible] ავათმყოფობათა. **რენტგენის სხივები.** კრილოვის ქ. სახლი № 5 გოლიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

დოქტორი **[illegible] ბაქაძე.**
სპეციალურად ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებიან ავათმყობთა მიღება დილის 11—12 საღამოს 4—5 ნახ. საათ გერმანელთა სამხედრო საავათმყოფოში ნაბერეჟნაია ქ. № 15 კვირა დღეების გარდა (2603—2—2)

კბილის ექიმი
[illegible]
იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე [illegible] ქუჩა № 15 ბინა 3 კონსერვატორიის ახლობლად.

ექიმი **ნ. დ. [illegible]**
იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალურ და საბებიო სნეულ. მუდამ დღე 11—1 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

ექიმი **მ. ჩიჯავაძის** ბაქტერიოლოგიური, სერო დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული **ლაბორატორია**
იღებს გამოსაკვლევად სისხლს: Wassermann-ის; Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Opermeyer-ის სპიროხეტები და სხვ. შარდის, განავალს, ნახველს, რძეს, ღორწოს, ჩირქს, ზურგის ტვინის სითხეს, კუჭის სითხეს და სხვა. ამზადებს აუტოვაქსინურ ვაქცინას. 26 მაისის (ოლღას) ქუჩა. გაგარინის შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ექიმი **[illegible]**
მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27.

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონხი
ნერვიული, შინაგანი და საბავშვო ავათმყოფობანი ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი, ჰიპნოზი შთაგონება. ავათმყოფების მიღება დილის 10 ნახ.—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ. კვირაობით და ხუთშაბათობით საღამოობით ავათმყოფები არ მიიღებიან. მიხეილის ქ. (პლეხანოვისპრ.) № 111 ტელ. 13—42.

ექიმი **დ. შ. ჯავახიშვილი.**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

დოქტორი **[illegible]**
სისხლის გამოკვლევა სიფილისიანზე (Wasserman'-ის რეაქცია) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტერიაზე, ტიფზე, გონოკოკზე და სხვ. პირადათ ნახვა დილის 8 ნახ.—10 ნახ. საათ- საღ. 5—7 საათ. დიფტერიტზე მიიღება დილის 8 საღ. 8 საათ. გრიბოედოვის ქ. № 11 ტელეფონი 16—82.

ექიმი **[illegible]**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“. ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფები მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

ექიმი **დ. ა. ხარაძე.**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

დოქტორი **[illegible]**
თვალის ავათმყოფობანი .ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე დ. საღ. 4—7-დე ნიკოლოზის ქ. № 32.

ექიმი ქალი **[illegible]**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და პეტერბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას **სიფილისის წამლობა** (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26

ექიმი **იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი **ა. მ. [illegible]**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

ექიმი **ა. დ. [illegible]**
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“, მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოვ[illegible]“ პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ქ. თფილისის საკრედიტო დაწესებულებების მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა აცხადებს კავშირის წევრების საყურადღებოთ, რომ სამშაბათს, 4 ნოემბერს, საღ. 5 ნახ. საათზე თფილისის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია ამავე კავშირის

წევრთა საზოგადო კრება

დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება კავშირის მოქმედების შესახებ 1918 წელში, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) 1918 წლის ანგარიშის დამტკიცება, 4) 1919 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა, 5) სამედიცინო დახმარება, 6) შემნახველ გასესხებელ ფონდის დაარსება, 7) სამუშაო ქირის ტარიფის შედგენა თანამდებობისა და კატეგორიის მიხედვით, თანახმად სატარიფო პალატის წინადადებისა, 8) გამგეობის, სარევიზიო კომისიის წევრების და მათი კანდიდატების არჩევა და 9) მიმდინარე კითხვები.

დასწრება ყველა წევრისათვის სავალდებულოა. (2866—2—2)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ **ობოლი მეშის**
ახალი პოემა
„წამების ჯვარზე“
(უფ.—4—3)